ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სტუდენტი: გიორგი ოქიტაშვილი

# პროპორციული საარჩევნო სისტემის ქართული პერსპექტივა

ხელმძღვანელი: თსუ იურიდიული ფაკულტეტის
პროფესორი გიორგი კვერენჩხილაძე

თბილისი
2019

# ანოტაცია

ჩვენი საკვლევი თემა შეეხება პროპორციული საარჩევნო სისტემის პერსპექტივას. თემა ითვალისწინებს საარჩევნო სისტემების ზოგად დახასიათებას, საქართველოში დღემდე მოქმედი საარჩევნო სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლასა და მათი გათვალისწინებით პროპორციული საარჩევნო სისტემით დაკომპლექტებული საკანონმდებლო ორგანოს პერსპექტივას. სამართლებრივ-პოლიტიკური ანალიზით საშუალება მოგვეცემა გამოვიტანოთ დასკვნა, თუ  რომელი სააარჩევნო სისტემა იმუშავებს საქართეველოს კონსტიტუციური რეალობის პირობებში უკეთესად.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში მიზნად ვისახავთ, განვსაზღვროთ ის სავარაუდო შედეგები, რომლებიც შესაძლოა მოგვიტანოს პროპორციულ სისტემაზე გადასვლამ. შევაფასოთ მოცემული საკანონმდებლო ცვლილებები და ამ შეფასების საშუალებით რეკომენდაცია გავცეთ საარჩვნო ბარიერისა და დარჩენილი მანდატების გადანაწილების წესის შესახებ.

მოცემული საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რომ 2020 წლიდან საქართველოში საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდეს. ჩვენი ამოცანაც პასუხობს თანამდეროვე გამოწვევას, დავამტკიცოთ პროპორციული საარჩევნო სისტემის უპირატესობა მაჟორიტარულთან შედარებით ქართულ რეალობაში.

## სარჩევი


შესავალი ..... 4
თავი პირველი ..... 6
§ 1. საარჩევნო სისტემები ..... 6
თავი მეორე ..... 8
§ 2. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ..... 8
§2.1. ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ..... 9
§2.2. აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ..... 10
§2.3. კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ..... 11
თავი მესამე ..... 13
პროპორციული საარჩევნო სისტემა ..... 13
§3.1. მანდატების გადანაწილება ..... 14
**§3.1.1. კვოტირების მეთოდი** ..... 14
**§3.1.2. გამყოფთა მეთოდი** ..... 15
§3.2. პარტიული სიები ..... 16
**§3.2.1. ხისტი სიები** ..... 16
**§3.2.2. პრეფერენციული სისტემა** ..... 17
**§3.2.3. მოქნილი სიები** ..... 18
§3.3. ერთი გადასაცემი ხმის სისტემა ..... 18
§3.4. საარჩევნო ბარიერი ..... 19
§3.5. გაუნაწილებელი მანდატების გადანაწილება ..... 20
თავი მეოთხე ..... 23
შერეული საარჩევნო სისტემა ..... 23
§4.1. კუმულაციური კენჭისყრის მეთოდი ..... 23
§4.2. პარალელური კენჭისყრა ..... 24
§4.3. კონსენსუსის მეთოდი ..... 25
თავი მეხუთე ..... 26
არჩევნების ისტორიული განვითარება საქართველოში ..... 26
§5.1. საარჩევნო სისტემა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში ..... 26
§5.2. საარჩევნო სისტემა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ..... 27
& 5.3. საქართველოში მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემის სხვადასხვა ვარიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები ..... 33
თავი მეექვსე ..... 37
პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული ..... 37
საქართველოს პარლამენტი ..... 37
§6.1. საქართველოს საარჩევნო სიტემის რეფორმის სხვადასხვა შემოთავაზებები ..... 38
§6.2. უახლესი საკონსტიტუციო ცვლილებები ..... 39
§6.3. საარჩევნო ბარიერი ..... 41
§6.4. გაუნაწილებელი მანდატები ..... 42
§6.5. პროპორციული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის დადებითი და უარყოფითი მხარეები ..... 43
დასკვნა ..... 45
გამოყენებული ლიტერატურა ..... 49

# შესავალი

საერთაშორისო პრაქტიკაში საარჩევნო სისტემების სამ სახეს გამოყოფენ: მაჟორიტარულს, პროპორციულსა და შერეულს. ჩვენი საკვლევი თემის ძირითად მიზანს წარმოადგენს პროპორციული საარჩევნო სისტემის პერსპექტივა ქართულ რეალობაში. კვლევის პროცესში დაანონსდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც საქართველო 2024 წლის ნაცვლად 2020 წელს გადავა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და მომდევნო საპარლამენტო არჩევნები აღნიშნული სისტემით ჩატარდება. ნაშრომში ყურადღება გამახვილდება ასევე იმ გარემოებაზე, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ბუნებრივი ბარიერის პირობებში ჩაივლის, რითაც თითქმის ყველა პარტიას მიეცემა საშუალება, რომ ერთი მანდატით მაინც იყოს წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში. აღნიშნულ ცვლილებას შევადარებთ 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებს, როდესაც 2%-იანი ბარიერის პირობებში მანდატები 24 პარტიას შორის განაწილდა და საპარლამენტო უმრავლესობა ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა.

ნაშრომში ასევე საუბარია იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი ხარვეზები და უპირატესობების აქვს შერეულ საარჩევნო სისტემას და რითია განსხვავებული მისგან პროპორციული სისტემა. განვიხილავთ საარჩევნო სისტემის სამივე სახეს, წარმოვაჩენთ მათ დადებით და უარყოფით მახასიათებლებს. გავაანალიზებთ 1918-21 წლების საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკიდან დღემდე საარჩევნო სისტემებს, ასევე შევაფასებთ შერეული საარჩევნო სისტემით არჩეული საკანონმდებლო ორგანოს ნდობის ხარისხს. კრიტიკულად შევხედავ თითოეული სააარჩევნო სისტემის ნაირსახეობას და ჩვენთვის საუკეთესოს შევარჩევთ.

გარდა ამისა, ვიმსჯელებთ პროპორციული საარჩევნო სისტემის თანმდევ საკანონმდებლო რეგულაციებზე, საარჩევნო ბარიერის მნიშვნელობაზე, მანდატების გადანაწილების წესზე, საარჩევნო სიების სხვადასხვა სახეზე და გამოვიტანთ დასკვნას, სჯობს თუ არა ქართულ რეალობაში პროპორციული საარჩევნო სისტემა სხვა დანარჩენებს.

საკვლევი თემის აქტუალობა გამომდინარეობს თანამედროვე პოლიტიკური პროცესებიდან, რომლებიც უსწრაფესად ვითარდებიან. საქართელოში აქტიურად მიდის განხილვები მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პოლიტიკური ბლოკების აკრძალვაც, რომელმაც დიდი განხეთქილება შეიტანა ოპოზიციურ პარტიებს შორის. მსხვილი პოლიტიკური ბლოკები დაუპირისპირდნენ მცირე პარტიებს, ამ უკანასკნელების მიზანია, რაც შეიძლება მალე შევიდეს კონსტიტუციაში ცვლილებები და არჩევნები პროპორციული სისტემით ბუნებრივი ბარიერის პირობებში ჩატარდეს, ხოლო მსხვილი პოლიტიკური ბლოკები მოითხოვენ არჩევნებში ბლოკების მონაწილეობის დაშვებას. დემოკრატიულ ქვეყნებში აუცილებელია ოპოზიციური პარტიების ჩართულობა კონსტიტუციური ცვლილებების პროცესში. საარჩევნო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური და კონსტიტუციური ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, რომ მასზე შეთანხმება უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას შორის.

კარგ საარჩევნო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ამომრჩევლის ნების წარმოჩენას მანდატების განაწილების პროცესში, არჩევნების მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობის ზრდა მოჰყვება. ნდობის საკითხი კი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა განვითარებადი ქვეყნისთვის.

სწორედ ამ საკითხების განხილვას დაეთმობა ჩვენი ყურადღება და მოხდება ფაქტების შეფასება, ანალიზი და კვლევის დასასრულს გავიგებთ რა დადებითი ან არყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას.

# თავი პირველი
## § 1. საარჩევნო სისტემები

სუვერენული სახელმწიფოებისთვის საარჩევნო სისტემის არჩევა საკმაოდ პრივატულ საკითხს და ქვეყნის პოლიტიკური ძალების კონსენსუსის საგანს წარმოადგენს. პირველ რიგში, უნდა განვმარტოთ, თუ რას გულისხმობს საარჩევნო სისტემა. ფართო გაგებით, წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირების წესია, ხოლო ვიწრო გაგებით კი საარჩევნო სისტემა კენჭისყრის შედეგების საფუძველზე არჩევით ორგანოში ადგილების განაწილების წესია. მას ზოგიერთი მკვლევარი საარჩევნო ფორმულასაც კი უწოდებს. სწორედ ის პრინციპები და მეთოდები, რომელთა საფუძველზე ხდება მიღებული ხმების მანდატების რაოდენობაში გადაყვანა (ტრანსფორმირება), წარმოადგენს საარჩევნო სისტემას. საარჩევნო სისტემა განსაზღვრული პროცედურების მეშვეობით შემოსაზღვრული პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებების ასარჩევთა და ამომრჩეველთა ერთობლიობაა.[1]

ვენეციის კომისია არის ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო კონსტიტუციურ საკითხებში. მისი რეკომენდაციები სავალდებულო ხასიათის არ გახლავთ, მაგრამ მნიშვნელოვანია ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის. ვენეციის კომისია ზოგად რეკომენდაციას იძლევა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და კონკრეტულად არც ერთ საარჩევნო სისტემას არ გამოარჩევს. მათი რეკომენდაციით არჩევნების შედეგები მაქსიმალურად უნდა გამოხატავდეს ამომრჩეველთა განწყობებს, საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს: ამომრჩეველთა ხმის თანაბრობა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობითობა; გენდერული თანასწორობა; სამართლიანობა არჩევნებში მონაწილეთა შორის;

საარჩენო სისტემები ძირითადად სამი სახისაა: პროპორციული, მაჟორიტარული და შერეული. ყველაზე მნიშვნელოვანი, საარჩევნო სისტემის არჩევასთან დაკავშირებით რაც უნდა გავითვალისწინოთ, ეს გახლავთ ამომრჩეველთა მხრიდან გამოხატული ნების მაქსიმალურად ობიექტურად ასახვა მანდატების გადანაწილების დროს. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამა თუ იმ სისტემის გამოყენება წმინდა ტექნიკური საკითხია და არანაირ გავლენას არ ახდენს არჩევნების შედეგებზე, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ამა თუ იმ სისტემის პირობებში შეიძლება ისე გადანაწილდეს ამომრჩეველთა ხმები, რომ პარტია რომელიც საერთო ჯამში ხმათა უმრავლესობას მიიღებს, მანდატების გადანაწილების შემდეგ წარმომადგენლობით ორგანოში უმცირესობაში აღმოჩნდეს. გარდა ამისა, საარჩევნო სისტემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოში პოლიტიკურ პლურალიზმზე, ბიპოლარიზმზე,

[1] ოთარ მელქაძე. საარჩევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციებში, 2015 წ. 52 გვ.

წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის პოლიტიკურ მიმართულებასა და ეფექტიანობაზე და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებზე, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიის არსებობისთვის.

## თავი მეორე
## § 2. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სისტემებიდან ყველაზე ძველი მაჟორიტარული სისტემაა. მის ეტიმოლოგიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მისი სახელწოდება ფრანგული სიტყვისგან (majorite - უმრავლესობა) მომდინარეობს. [2] მაჟორიტარული სისტემის პირობებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა (ფარდობით, კვალიფიციურ ან აბსოლიტურ) უმრავლესობას. აღნიშნულ სისტემას საკმაოდ მრავლად აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება გამოვყოთ დადებითი მხარეებიდან, ამომრჩეველი პირდაპირ დეპუტატობის იმ კანდიდატს აძლევს ხმას, რომელიც მისთვის უფრო მისაღებია, თავად იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ და არ აძლევს ხმას პარტიის აპარატის მიერ შედგენილ სიას. ამ შემთხვევაში, არჩეული კანდიდატი უფრო მჭიდრო კავშირშია მის ამომრჩევლებთან.

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, მაჟორიტარული სიით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი არის მხოლოდ იმ ოლქის წარმომადგენელი, რომლის მოსახლეობამაც მას მხარი დაუჭირა. ასეთი დათქმა ჩვენს კონსტიტუციაში არასდროს ყოფილა, პირიქით, 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი პროექტის მე-3 მუხლში ასეთი ჩანაწერი არსებობდა: „პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა ცალკე პროვინციას, რომელმაც ისინი აირჩია“.[3]

მაჟორიტარული სისტემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე უფრო ძველია საარჩევნო სისტემებს შორის. დემოკრატიის განვითარებასთან ერთად პრაქტიკა უფრო ნათლად გვაჩვენებს ხოლმე ამა თუ იმ სისტემის ხარვეზებს. მას საკმაოდ მრავლად აქვს ხარვეზები, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი კი რაც ამ სისტემის საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოვიყენოთ, არის ის, რომ მის პირობებში შესაძლებელია ისეთი პარტია მოვიდეს უმრავლსობით, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა არ უჭერს მხარს. მაგ.: 100 საარჩევნო ოლქში იმართება არჩევნები, მონაწილეობს ორი პარტია, პირობითად A და B, აქედან 51 საარჩევნო ოლქში A პარტიის მაჟორიტარმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს მინიმალური სხვაობით, პირობითად 52% - 48%-ის წინააღმდეგ, აღნიშნული შედეგით უმრავლესობა მოიპოვა A პარტიამ. დანარჩენ 49 ოლქში კი B პარტიის წარმომადგენლებმა დიდი სხვაობით გაიმარჯვს 70% - 30%-ის წინააღმდეგ. განხილული მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ასეთ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში B პარტიამ გაცილებით უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე A პარტიამ, უმრავლესობა მაინც A პარტიამ მოიპოვა. აღნიშნული მაგალითი მხოლოდ

---

[2] ავტორთა კოლექტივი, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი 2011 წ. 150 გვ.

[3] ოთარ მელქაძე, საარჩევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციებში, 2015 წ. 55 გვ.

თეორიულ დონეზე არაა დაშვებული, ასეთი შემთხვევები არაერთხელ მომხდარა განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი და გერმანია.

აქედან გამომდინარე, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის პირობებში შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ მოქალაქეთა უმრავლესობამ ერთ პარტიას მისცეს ხმა და საკანონმდებლო ორგანოში უმრავლსეობა მაინც მეორე პარტიამ მოიპოვოს. რაც შეეხება მაჟორიტარული სისტემის სახეებს, ესენია: ფარდობითი, აბსოლუტური და კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემები. გარდა ამ გავრცელებული მოდელებისა, არსებობს ასევე კუმულაციური ვოტუმის მაჟორიტარული და ერთადერთი არგადასაცემი ხმის სისტემები. თითოეული მათგანი განვიხილოთ ცალ-ცალკე.

## §2.1. ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მარტივი სტრუქტურისა და წესების საარჩევნო სისტემაა. გამარჯვებულად ცხადდება ის კანდიდატი, რომელიც ყველზე მეტ ხმას მოაგროვებს, ანუ - უბრალო უმრავლესობას. მისი დადებითი მხარე მის სიმარტივეშია, ძალიან მარტივია ხმის დათვლაც, ხოლო, რაც შეეხება დანახარჯებს, მინიმალური დანახარჯებით ვიღებთ შედეგს, მაგრამ მთავარი უბრალოდ ნებისმიერი შედეგის მიღება ხომ არაა?! აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებისას ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი გახლავთ ის, რომ არჩევნებში შეიძლება გაიმარჯვოს კანდიდატმა, რომელსაც რეალურად უმცირესობა უჭერს მხარს, ამას ნათლად უფრო მაგალითის განხილვის პრცესში გავიგებთ.[4] მაგ.: ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის A; B; C; D; E; F და G კანდიდატები, ხმების პროცენტული რაოდენობა კი ასე გადანაწილდა: A კანდიდატმა მიიღო 25%; B-15%; C-20%; D-10%; E-9%; F-3%; G-18% არჩევნებში გამარჯვებულად A კანდიდატი ცხადდება მიუხედავად იმისა, რომ მის საწინააღმდეგოდ არჩევნებზე მისული მოსახლეობის 75%-მა მისცა ხმა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არჩევნებზე არ მივიდა მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა, რომელთათვის არცერთი კანდიდატი არ იყო ღირსეული, მივიღებთ სურათს - მანდატი მიიღო კანდიდატმა, რომელსაც აბსოლუტურმა უმცირესობამ დაუჭირა მხარი. ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის დადებითი მხარე მის სიმარტივეშია და მინიმალურ დანახარჯებში, ხოლო უარყოფითი მხარე ისაა, რომ მანდატების გადანაწილებისას ამომრჩეველთა უმრავლესობის აზრის საწინააღმდეგო შედეგების წინაშე შეიძლება დავდგეთ. გარდა ამისა, ასეთი სისტემის პირობებში ხელსაყრელი პირობები ეძლევა დიდ/მმართველ პარტიას და შედარებით პატარა პარტიების როლი პოლიტიკურ სივრცეში

[4] საქართველოს პარლამენტის გვებ-გვერდი http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf საარჩევნო სისტემები 4-5 გვ.

მცირდება. პატარა პარტიებს თითქმის არ ეძლევათ საშუალება, რომ საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდეთ წარმომადგენლობით ორგანოში, ეს კი განვითარებადი ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის უარყოფითი შედეგების მომტანია.

## §2.2. აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა

აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ფარდობითი უმრავლესობისაგან იმით განსხვავდება, რომ აღნიშნული სისტემის პირობებში, არჩევნებში მონაწილე კანდიდატმა უნდა დააგროვოს ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 50%-ს + 1 ხმა. ამ სისტემის პირობებში უფრო ნაკლებია იმის შანსი, რომ ამა თუ იმ კანდიდატმა ამომრჩეველთა უმრავლესობის განწყობების საწინააღმდეგოდ მოიპოვოს მანდატი, განსხვავებით ფარდობითი უმრავლესობის სისტემისაგან. აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის პირობებში გამონაკლისი შემთხვევების გარეშე ძალიან ხშირად იმართება მეორე ტური, რადგან კანდიდატები ვერ ლახავენ 50%-იან ბარიერს. მეორე ტურში კი მონაწილეობას იღებს, უმეტესი ქვეყნის მაგალითზე, საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. ასეთი სისტემით ტარდება ძირითადად პრეზიდენტებისა და ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელების არჩევნები. პირველსავე ტურში საკმაოდ რთულია გამარჯვების მოპოვება, ამიტომ ეს მოდელი უფრო მეტ ადმინისტრაციულ და ფინანასურ რესურსს მოითხოვს. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი, რათა უფრო ნათელი გახდეს აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგ.: A B C და D კანდიდატები იყრიან კენჭს მანდატის მოსაპოვებლად. A კანდიდატმა მოიპოვა ამომრჩეველთა 32%, B-მ - 18%, C-მ - 25%, ხოლო D-მ - 35%. პრველ ტურში მანდატის მოპოვება ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო, რადგან 50%-იანი ბარიერი ვერც ერთმა გადალახა, როგორც წესი, მეორე ტური 2 კვირის თავზე იმართება ხოლმე. მეორე ტურში მონაწილეობას იღებ საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი და მათ შორის საუკეთესო შედეგის მქონე იღებს მანდატს. რაც შეეხება ამომრჩეველთა უმრავლესობის დეფინიციას, ეს უკვე ამა თუ იმ სახელმწიფოს კონსტიტუციით ან საარჩევნო კანონმდებლობით არის განსაზღვრული. ზოგ შემთხვევაში ამომრჩეველთა უმრავლესობა ნიშნავს ქვეყანაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტს, ანუ ვისაც ხმის მიცემის უფლება აქვს. ზოგ შემთხვევაში არჩევნებზე მისულთა უმრავლესობას, ყველაზე ხშირად კი - ნამდვილი ხმების უმრავლესობა ნიშნავს ამომრჩეველთა უმრავლესობას.[5]

გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული სისტემის პირობებში მეორე ტურის ჩატარების აუცილებლობა რომ არ დადგეს, დღის წესრიგში ამომრჩეველი ბიულეტინზე კანდიდატთა სიის გასწვრივ უთითებს ნუმერაციას პრიორიტეტების მიხედვით, მაგ.: A-2,

[5] ავტორთა კოლექტივი, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი 2011 წ. 152-153 გვ.

B-4, C-1, D-3. ამ მეთოდით საარჩევნო ორგანო, პირველ რიგში, ითვლის იმ კანდიდატთა ხმების რაოდენობას, ვის გასწვრივაც ციფრი 1 წერია. თუ მან ვერ დააგროვა ამომრჩეველთა 50%+1, შემდგომ 2 და ასე შემდეგ, მანამ, სანამ გამარჯვებული არ გამოვლინდება.

## §2.3. კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა

კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის პირობებში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას მოიპოვებს. კვალიფიციური უმრავლესობა აბსოლუტურ უმრავლესობაზე მეტ ხმას გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში, ეს გახლავთ 2/3; 3/4 ან 3/5.[6] ასეთი სისტემის პირობებში მეტადაა გათვალისწინებული ამომრჩეველთა უმრავლესობის ნება, რადგან მანდატის მოსაპოვებლად კანდიდატმა აბსოლუტურ უმრავლესობაზე მეტი ხმა უნდა მიიღოს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასეთი ტიპის არჩევნები პირველსავე ტურში ვერ ავლენს ხოლმე გამარჯვებულს, ამიტომ, მეტი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი იხარჯება, ვიდრე ეს ხდება ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის პირობებში. კვალიფიციური უმრავლესობის სისტემას ძირითადად პრეზიდენტის არჩევნების დორს იყენებენ (აზერბაიჯანი არგენტინა კოსტა-რიკა).

გარდა ღნიშნული სისტემებისა, მაჟორიტარულ სისტემას აქვს კიდევ ორი ნაირსახეობა, რომლებიც ძალიან იშვიათად გამოიყენება. კუმულაციური ვოტუმის მაჟორიტარული სისტემა და ერთადერთი არგადასაცემი ხმის სისტემა. კუმულაციური ვოტუმის მაჟორიტარული სისტემა გამოიყენება მრავალმანდატიან ოლქში და ამომრჩეველს იმდენი ხმა აქვს, რამდენი მანდატიც აქვს აღნიშნულ საარჩევნო ოლქს. მას შეუძლია თავისი სურვილისამებრ ეს ხმები ან ერთ კანდიდატს მისცეს, ან გადაანაწილოს სხვადასხვა კანდიტატებზე. ერთადერთი არგადასაცემი ხმის სისტემის დროს კი ამომრჩეველს აქვს ნაკლები ხმა, ვიდრე აღნიშნული ოლქის მანდატების რაოდენობაა და გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც გავლენ პირველ ორ/სამ/ოთხ ან მეტ ადგილზე, იმის მიხედვით, თუ რამდენი მანდატი აქვს მინიჭებული აღნიშნულ საარჩევნო ოლქს.

მაჟორიტარული სისტემა მოკლედ რომ შევაჯამოთ, უნდა გამოვყოთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები: დადებითი მხარეების ჩამოთვლისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩევნების დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს როგორც პარტიას, ისე უშუალოდ იმ პირს, ვისაც უნდა გადასცეს მანდატი. ერთმანდატიან ოლქში ძალიან ძლიერია ამომრჩევლისა და დეპუტატის კავშირი, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, უფრო მარტივი სტრუქტურისაა, ვიდრე პროპორციული და შერეული სისტემები.

[6] არსებობს გამონაკლისებიც როდესაც კვალიფიციური უმრავლესობას ნიშნავს დათქმა: „არჩევნებში მონაწილეთა ერთი მესამედ“. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია.

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, აღნიშნულ სისტემას უარყოფითი მხარეები მრავლად აქვს. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ფარდობითი უმრავლესობის სისტემის პირობებში, ხშირ შემთხვევაში, უმრავლესობის ხმები იკარგება და უმცირესობის წარმომადგენელი ხდება მანდატის მფლობელი. აბსოლუტური და კვალიფიციური სისტემების პირობებში კი ძალიან დიდია ალბათობა, მით უფრო კვალიფიციურის პირობებში, რომ პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინოს და დადგეს აუცილებლობა მეორე ტურის დანიშვნის, რაც, რა თქმა უნდა, ორმაგ ხარჯებთან და რესურსთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა სასათბურე პირობებს უქმნის დიდ და ძლიერ პარტიებს. ასეთი ტიპის არჩევნებში პატარა პარტიის კანდიდატის გამარჯვება თითქმის წამოუდგენელია. მაღალი დემოკრატიის ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი) აღნიშნული სისტემა უფრო კარგად შეიძლება მუშაობდეს, ვიდრე პროპორციული და შერეული, მაგრამ განვითარებადი და ახალი დემოკრატიის ქვეყნებში აუცილებელია პარტიული პლურალიზმის გაძლიერება. პატარა პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი წარმომადგენლების შეყვანის შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

ჩვენი ქვეყნის მაგალითზე რომ ვისაუბროთ, 2020 წლამდე ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს შერეული საარჩევნო სისტემა. პარლამენტში 77 კანდიდატი აირჩევა პროპორციული სისტემით, 73 კი - მაჟორიტარული სისტემით. ასეთ საარჩევნო სისტემას საქართველოში შედარებით პატარა პარტიების უფრო დასუსტება მოჰყვა. სახელისუფლებო პარტია უფრო მარტივად მოიპოვებს უმრავლესობას და გარკვეულ შემთხვევებში კონსტიტუციურ უმრავლესობასაც, რადგან მაჟორიტარული არჩევნების პირობებში პარტიის რეიტინგს ემატება კანდიდატის რეიტინგი და მცირე პარტიების წარმომადგენლების გამარჯვების შანსი თითქმის ნულის ტოლია. გარდა ამისა, დიდი პარტიები მეტი ფულადი რესურსით გამოირჩევიან. მათ მიერ წარდგენილ კანდიდატებს, განსაკუთრებით მმართველი პარტიიდან, იმ საარჩევნო ოლქში, სადაც პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ, დიდი გავლენა გააჩნით. ზოგი ადგილობრივი ბიზნემესნია და დასაქმებული ჰყავს ამ ოლქის დიდი რაოდენობით მოსახლეობა და ა.შ.

რომ შევაჯამოთ, საქართველოსნაირი განვითარებადი ქვეყნისთვის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ძალიან დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესისთვის. საქართველოში მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატების არსებობამ დღის წესრიგში დააყენა ასევე სხვა პრობლემები, მაჟორიტარი დეპუტატები საკუთარ ოლქებში დაემსგავსნენ ფეოდალებს და არაფორმალურად თითქმის ყველა გადაწყვეტილების მიღებაში ერევიან ადგილობრივ აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო დონეზე. ეს კი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის უდიდეს წნეხს წარმოადგენს, რაც სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

# თავი მესამე
# პროპორციული საარჩევნო სისტემა

პროპორციული საარჩევნო სისტემა პირველად 1889 წელს ბელგიაში გამოიყენეს.[7] ეს სისტემა თითოეული ინდივიდისთვის თანაბარი ხმის უფლების, ხოლო თითოეული ჯგუფისათვის თანასწორი და სამართლიანი წარმომადგენლობის გარანტიას იძლევა.[8] პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემას მაჟორიტარულისგან რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განასხვავებს: პროპორციული საარჩევნო სისტემა ერთ მანდატიან ოლქში არ გამოიყენება; მანდატები ნაწილდება არჩევნების შედეგების პროპორციულად; ამომრჩეველი შესაძლოა არ იცნობდეს პარტიის კანდიდატებს ან სულაც მათ უმრავლესობას, მაგრამ მხარს უჭერდეს ლიდერს, მოსწონდეს მისი იდეოლოგია, მსოფლმხედველობა და სხვა.

პროპორციული არჩევნები წმინდა პარტიული არჩევნებია, რადგან ამ სისტემის პირობებში უშუალოდ პარტიები ეჯიბრებიან ერთმანეთს არჩევნების მეშვეობით. პოლიტიკური პარტიები/გაერთიანებები წარმოადგენენ კანდიდატთა სიებს და სწორედ ამ სიებზე ნაწილდება მანდატები მიღებული ხმების პროპორციულად. საარჩევნო სისტემის ეს სახე ყველაზე კარგად წარმოაჩენს ამომრჩეველთა განწყობებს, მინიმუმამდე დადის ამომრჩევლის ნებისა და მანდატების გადანაწილების ცდომილება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერც ერთი სისტემა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩევლების ნებისა და მანდატების გადანაწილების აბსოლუტურ სიზუსტეს, რადგან დეპუტატთა მანდატების რაოდენობას გაცილებით აღემატება ამომრჩეველთა რაოდენობა. თუმცა, აღნიშნული სისტემა ერთადერთი საარჩევნო სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილმა პარტიამ მართოს და ამასთანავე უმცირესობაც იყოს წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში.[9] პროპორციული სისტემის პირობებში არჩევნები ძირითადად მრავალმანდატიან ოლქებში ტარდება. პატარა სახელმწიფოებში შესაძლებელია, მთელი ქვეყანა ერთ საარჩევნო ოლქად იყოს წარმოდგენილი. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი წესით აძლევს ხმას ამომრჩეველი და როგორი წესით ნაწილდება მანდატები პარტიებს შორის; მთელი ქვეყანა ერთ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქს წარმოადგენს, თუ დაყოფილია რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საარჩევნო ბარიერსაც, რომელსაც ან კანონმდებლობა ადგენს, ან ბუნებრივი ბარიერის სახით გვევლინება.

---

[7] http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf საარჩევნო სისტემები 9 გვ.

[8] John R. Low-Beer, The Constitutional Imperative of Proportional Representation (1984), 164-165

[9] John R. Low-Beer, The Constitutional Imperative of Proportional Representation (1984), 165

პროპორციულ საარჩევნო სისტემას აქვს ორი ძირითადი სახესხვაობა: 1. პროპორციული საარჩევნო სისტემა საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე - როდესაც მთელი სახელმწიფო ერთ საარჩევნო ოლქადაა წარმოდგენილი; 2. მრავალმანდატიან ოლქებზე დამყარებული პროპორციული საარჩევნო სისტემა - სახელმწიფო დაყოფილია რამდენიმე საარჩევნო ოლქად, ამ საარჩევნო ოლქებს განსაზღვრული აქვს ასარჩევი დეპუტატების რაოდენობა და ოლქებში პროპორციული არჩევნებით მიღებული ხმების შესაბამისად, ოლქში წინასწარ განსაზღვრული მანდატების რაოდენობა ნაწილდება მიღებული ხმების პროპორციულად.[10]

პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს მანდატების განაწილების ხერხები; პარტიული სიების რომელ ნაირსახეობაზე კეთდება აქცენტი; საარჩევნო ბარიერი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, გაუნაწილებელი მანდატების გადანაწილება.

## §3.1. მანდატების გადანაწილება

საერთაშორისო პრაქტიკაში დეპუტატთა მანდატების განაწილების ორი ძირითადი მეთოდი არსებობს:

- კვოტირების მეთოდი;
- გამყოფთა მეთოდი.

ერთი და იგივე ხმების მიღების პირობებში ამ მეთოდების გამოყენებით მანდატები სხვადასხვა პროპორციით ნაწილდება. საერთო სურათი არ იცვლება იმგვარად, როგორც შეიძლება მაჟორიტარული სისტემის პირობებში შეიცვალოს, მაგრამ, რადგან პროპორციული სისტემა მიმართულია ამომრჩევლის ნების მაქსიმალური სიზუსტით წარმოჩენისკენ, მანდატების გადანაწილებისას ერთი მანდატის მიკუთვნებასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

### §3.1.1. კვოტირების მეთოდი

კვოტირების მიხედვით ამომრჩევლის ხმების დათვლისას თითოეული სია მანდატებს იღებს საარჩევნო კვოტის მიხედვით. ეს პროცესი ორი საფეხურისგან შედგება. პირველი საფეხური გულისხმობს კვოტის განსაზღვრას - თუ რამდენი ხმაა საჭირო საარჩევნო ოლქში ერთი მანდატის მოსაპოვებლად. ამ კვოტების გამოთვლა ხდება სხვადასხვა ფორმულის მიხედვით, რომელთა ძირითად სახეებსაც ქვემოთ განვიხილავთ. მეორე საფეხურზე კი მანდატები ნაწილდება გამოთვლილი კვოტისა და პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით.

[10]ავტორთა კოლექტივი; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; 115 გვ.

კვოტის გამოთვლის ყველაზე მარტივი მეთოდი გახლავთ ჰეირის კვოტის მეთოდი. არჩევნებზე პარტიებისთვის მიცემული ხმების საერთო ჯამი იყოფა მანდატების რაოდენობაზე და მიიღება ხმათა რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ერთი მანდატის მოსაპოვებლად. მაგ.: M არის პარტიების მიერ მიღებული ხმათა რაოდენობის ჯამი, N - მანდატების რაოდენობა, ხოლო K - კვოტა (თუ რამდენი ხმაა საჭირო ერთი მანდატის მოსაპოვებლად).

$$M : N = K$$

ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ აღნიშნული ფორმულის მიხედვით ყველაზე პროპორციული შედეგის მიღებაა შესაძლებელი.

შემდეგი მეთოდი გახლავთ ჰოგენბახ-ბიშოპის კვოტის გამოსათვლელი ფორმულა, რომლის მიხედვითაც კვოტის გამოთვლა იგივე სისტემით ხდება, მცირე სახესხვაობით - მანდატების რაოდენობას ამატებენ ერთს.

$$M : (N+1) = K$$

ჰოგენბახ-ბიშოპის მეთოდის გამოყენებით, ერთი არარსებული მანდატის დამატებით  კვოტის რაოდენობა მცირდება და შედარებით მცირე პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის საშუალება ეძლევათ.

საარჩევნო კვოტის განსაზღვრის შემდეგ თითოეული პარტიის/ბლოკის მიერ მიღებული ხმათა რაოდენობა იყოფა ამ თუ იმ ფორმულით მიღებულ კვოტაზე და მიღებული მთელი რიცხვი განსაზღვრავს პირველადი განაწილებით მოპოვებული მანდატების რაოდენობას.

### §3.1.2. გამყოფთა მეთოდი

მანდატების განაწილების შემდეგი სახე გახლავთ გამყოფთა მეთოდი. ამ მეთოდით მხედველობაში მიიღება არა ყველა პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, არამედ თითოეულის ცალ-ცალკე. მეთოდის არსი ისაა, რომ ყოველი სიის მიერ მიღებული ხმათა რაოდენობა იყოფა რიცხვთა ზრდად მწკრივზე. მიღებული განაყოფები ლაგდება კლებადობის მიხედვით. ის განაყოფი, რომლის რიგითი ნომერი გასანაწილებელი მანდატების რიცხვს ემთხვევა, იქნება საარჩევნო კვოტა.

გამყოფთა მეთოდები ერთმანეთისაგან მხოლოდ გამყოფი მწკრივის ტიპით განსხვავდება: დ'ონტის ფორმულის გამოყენებისას თითოელი პარტიული სიის მიერ მოპოვებული ხმები იყოფა ნატურალურ რიცხვთა მწკრივზე (1, 2, 3, 4 და ა.შ.). მეთოდი შემოღებულ იქნა ბელგიელი პროფესორის, ვიქტორ დ'ონდტის მიერ 1882 წელს.

სენ-ლაგის ფორმულაში მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა კენტ რიცხვთა მწკრივზე (1, 3, 5, 7, და ა.შ.). იდეა წამოაყენა ფრანგმა მათემატიკოსმა ანდრე სენტ– ლაგიმ 1910 წელს.

სკანდინავიურ ქვეყნებსა და ბულგარეთში გამოიყენება სენ–ლაგის მოდიფიცირებული (იგივე სკანდინავიური) მეთოდი, სადაც პირველი გამყოფის სახით ერთიანის ნაცვლად გვხვდება 1,4: 1,4–3–5 და ა.შ. ამის მსგავს შედეგს იძლევა გამყოფთა შემდეგი მწკრივის გამოყენება: 1–2,14–3,57....

დანიური მეთოდის დროს გამყოფთა რიგი შემდეგნაირია: 1–4–7–10. (დანიის გარდა არც ერთ ქვეყანაში არ გამოიყენება).

უდიდესი საშუალოს იმპერიალის მეთოდი გულისხმობს ხმების გაყოფის დაწყებას არა 1–ით (როგორც ეს დ'ონტის შემთხვევაშია), არამედ პირდაპირ 2–ით: (2,3,4...).

## §3.2. პარტიული სიები

იმის გამო, რომ სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც პარტიასა თუ პოლიტიკურ ჯგუფს კანდიდატების წარმოდგენის საშუალება ეძლევათ, იგივე სისტემით შესაძლებელია ამომრჩეველსაც მიეცეს კანდიდატებსა და პარტიებს შორის არჩევის გარკვეული ხარისხი. ძირითადად პარტიული სიების სამი სახე არსებობს: ხისტი სიები, მოქნილი სიები და პრეფერენცია.[11]

### §3.2.1. ხისტი სიები

პროპორციული წარმომადგენლობის პირობებში, უმეტეს შემთხვევაში, დახურულ, ანუ ხისტ სიებს იყენებენ. პარტია არჩევნებამდე გარკვეული პერიოდით ადრე ადგენს პარტიულ სიას და უგზავნის საარჩევნო ორგანოს. კანდიდატები ამ სიაში არა ანბანის მიხედვით, არამედ პოლიტიკური წონის მიხედვით არიან გადანაწილებულნი. ამ გადანაწილებას უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიის ადმინისტრაცია. ხისტი სიების პირობებში არჩევნების ჩატარება ბევრად უფრო მარტივია და ფინანსური დანახარჯიც ნაკლებია, ვიდრე დანარჩენ ორ შემთხვევაში, მაგრამ დახურული სიების გამოყენებისას არსებობს ძალიან დიდი რისკები, რომ მანდატი მიიღოს ისეთმა კანდიდატმა, რომელიც ამოფარებულია პარტიის რეიტინგს და თავად არანაირი პოლიტიკური წონა არ გააჩნია. ასევე ხშირია საპირისპირო შემთხვევები, როდესაც მოცემული სისტემით საკანონმდებლო ორგანოში საზოგადოებისთვის უცნობი სახეების, მაგრამ გარკვეულ საკითხში პროფესიონალების შეყვანა ხდება. დახურული სიების პირობებში მოვლენების სწრაფ ცვლილებებზე რეაგირების საშუალება ფაქტობრივად არ არსებობს. აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანებამდე 1990 წელს არჩევნებამდე 4 დღით ადრე გამოვლინდა, რომ ერთ-ერთი პარტიის ყველაზე მაღალი

[11] ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნული სიებს ღია, დახურულ და თავისუფალ სიებად იხსენიებს.

რანგის კანდიდატი პოლიციის საიდუმლო აგენტი იყო და დაუყოვნებლივ გაირიცხა პარტიიდან, მაგრამ იმის გამო, რომ სიები ხისტი იყო, ამომრჩეველს რომელსაც მისი ყოფილი პარტიის მხარდაჭერა სურდა, მაინც მოუწია ამ პიროვნების სასარგებლოდ ხმის მიცემა.[12]

## §3.2.2. პრეფერენციული სისტემა

უფრო რთულადაა საქმე, როცა გამოიყენება ხმის მიცემის პრეფერენციული სისტემა: ამომრჩეველი ხმას აძლევს სიას და კანდიდატებსაც. ამასთან, ანიჭებს მათ რიგით ნომრებს (1,2,3,4,5...), რითაც მიუთითებს, კანდიდატების როგორი თანამიმდევრობაა მისთვის უფრო სასურველი. გამოხატული პრეფერენციების მიხედვით გამოითვლება თითოეული კანდიდატის ინდივიდუალური რიცხვი. ამ რიცხვებისაგან ადგენენ ცხრილს. მანდატები გაიცემა ამ ცხრილში კანდიდატის ადგილის მიხედვით. რიცხვების ტოლობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელსაც პარტიულ სიაში უფრო მაღალი ადგილი უჭირავს. პრეფერენციების სისტემა გამოიყენება ფინეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში. პრეფერენციების სისტემას, გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად ითვალისწინებს ამომრჩევლის ნებას, სხვა უპირატესობაც გააჩნია - ის პროპორციული წარმომადგენლობის მიღწევის საშუალებას იძლევა არა მარტო პარტიული, არამედ ნებისმიერი სხვა, ამომრჩევლისათვის სასურველი ნიშნის მიხედვით, რამდენადაც ხმას აძლევენ როგორც პარტიულ სიას, ასევე პიროვნებებსაც (პერსონალიებსაც). ამ სისტემის ნაკლი კი ისაა, რომ ამომრჩეველი ორიენტირდება ცალკეულ პოლიტიკურ ფიგურაზე და არა მთლიანად პარტიის ინტერესებსა და მიზნებზე, ანუ ამომრჩეველი პარტიის სამოქმედო გეგმას ან იდეოლოგიას კი არ აძლევს ხმას, არამედ ცალკეულ კანდიდატებზე აკეთებს აქცენტს. თუმცა, მთავარი ნაკლი ხმის დათვლისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურის სირთულეა. კერძოდ, ის მოითხოვს ხმების ცენტრალიზებულად დათვლას: ყველა ბიულეტენი დასათვლელად გადატანილ უნდა იქნეს საოლქო კომისიაში, მაგრამ ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, ხმების ელექტრონული დათვლის შესაძლებლობის არსებობისას, ეს პრობლემა ფაქტობრივად აღარ იარსებებს. მიუხედავად ამისა, ეს სისტემა წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული მცირე საარჩევნო ოლქებში, პირველ რიგში, მუნიციპალური არჩევნების დროს.

ბელგიაში ამომრჩეველი თავის ერთადერთ ხმას აძლევს პარტიულ სიას ან კონკრეტულ კანდიდატს. ამ შემთხვევაში მისი ხმა ეთვლება როგორც პარტიას, ისე კონკრეტულ კანდიდატს და იმავდროულად განისაზღვრება იმ კონკრეტული კანდიდატის პარტიული სიით არჩევის შანსიც.[13]

---

[12] მარია გრაჩო, ანა კატცი; სადამკვირვებლო ორგანიზაციების პროფესიული განვითარება; 2016 წ. 27 გვ.

[13] ოთარ მელქაძე; საარჩევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციებში; 2015 წ. 72 გვ

### §3.2.3. მოქნილი სიები

დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა მოქნილ სიებს იყენებს, რომლის პირობებშიც ამომრჩეველს არა მხოლოდ პარტიისთვის შეუძლია ხმის მიცემა, არამედ ამ პარტიის სიაში მისთვის სასურველი კანდიდატისთვისაც. მოქნილი სისტემა წინა ორი სისტემის ნაკლოვანი მხარეების აღმოსაფხვრელად შეიქმნა. მისი გამოყენებით ამომრჩეველს საშუალება ეძლევა აირჩიოს როგორც პარტიული სია, ასევე განსაზღვროს პრეფერენციები ერთი ან რამდენიმე კანდიდატის მითითებით. პირველ შემთხვევაში ამომრჩეველთა ხმები დაითვლება ისევე, როგორც ხისტი სიების პრინციპის გამოყენებისას, მეორეში - როგორც პრეფერენციულისას. შესაბამისად, მანდატს ის კანდიდატი მიიღებს, რომელსაც ამომრჩეველთა მეტი მხარდაჭერა ექნება. შედეგად, დეპუტატი შეიძლება გახდეს ისეთი კანდიდატი, რომელიც პარტიული სიის ბოლოში იმყოფებოდა. ეს სისტემა გამოიყენება შვეიცარიაში, ავსტრიაში, იტალიაში.[14]

## §3.3. ერთი გადასაცემი ხმის სისტემა

ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემის ძირითადი პრინციპები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მე-19 საუკუნეში თომას ჰარმა ბრიტანეთში და კარლ ანდრემ დანიაში გამოიგონეს.[15] აღნიშნული სისტემა მრავალმანდატიან ოლქში გამოიყენება და ამომრჩეველი კანდიდატების ჩამონათვალს სასურველი რიგითობის მიხედვით აღნიშნავს. უმეტეს შემთხვევაში ამომრჩეველს არ მოეთხოვება ყველა კანდიდატისთვის რანგის მინიჭება. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, ამომრჩეველმა მხოლოდ ერთი კანდიდატიც მონიშნოს. კვოტის გამოთვლისას ძირითადად დრუპის კვოტას იყენებენ. ხმები იყოფა მანდატებს დამატებულ ერთ ვირტუალურ ხმაზე და მიღებულ რიცხვს ემატება ერთი. ამ სისტემით კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი საარჩევნო კვოტის მიხედვით გამოთვლილ ხმათა რაოდენობას დააგროვებს. მომდევნო ხმებით სხვა კანდიდატს ირჩევენ საარჩევნო ბიულეტენებზე მეორე არჩევანის მიხედვით. ადგილების გადაუნაწილებლობის შემთხევაში პროცედურა ისევ გრძელდება.

ერთი გადასაცემი ხმის სისტემა პოლიტიკური მეცნიერების მიერ ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საარჩევნო სისტემად მოიაზრება. მაგრამ ამ სისტემას საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისთვის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში იყენებენ. ირლანდიის რესპუბლიკაში იგი 1921 წლიდან გამოიყენება; მალტაში - 1947 წლიდან, ხოლო 1990 წელს ერთხელ ესტონეთშიც გამოიყენეს. სხვა შემთხვევებში ამ სისტემას გამოიყენებენ

[14] პიერ პაკტე, ფერდინან მელენ-სუკრამანი; კონსტიტუციური სამართალი; 2009 წ. 158-159 გვ.
[15] მარია გრაჩო, ანა კატცი; სადამკვირვებლო ორგანიზაციების პროფესიული განვითარება; 2016 წ. 21 გვ.

ადმინისტრაციული ერთეულები წარმომადგენლობითი არჩევნების ჩასატარებლად.

ერთი გადასაცემი ხმის უფლებას მრავალი უპირატესობა გააჩნია. როგორც წარმომადგენლობის არჩევის მექანიზმი, ერთი გადაცემადი ხმის სისტემა, ალბათ, ყველაზე სიღრმისეულია სხვა საარჩევნო სისტემებთან შედარებით. იგი პარტიებსა და პარტიების შიგნით არჩევის საშუალებას იძლევა. საბოლოო შედეგები პროპორციულობის სამართლიანი ხარისხით ხასიათდება და იმის გამო, რომ რეალურ ცხოვრებაში ერთი გადასაცემი ხმის სისტემის გამოყენება შედარებით მცირე ზომის მრავალმანდატიან ოლქებში ხდება, გეოგრაფიული კავშირი ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის შენარჩუნებულია. სისტემა პარტიებს შორის ურთიერთგაგებასაც უწყობს ხელს პრეფერენციების მიმოცვლის ხარჯზე. ერთი გადასაცემი ხმის სისტემა უკეთ ახდენს პოპულარული დამოუკიდებელი კანდიდატების არჩევას, ვინაიდან ამომრჩეველი აკეთებს კანდიდატებს შორის არჩევანს. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, იგივეთი ხასიათდება, რითაც პროპორციული საარჩევნო სისტემა. გარდა ამისა, კრიტიკა ეხება ასევე მის რთულ ხასიათს - იგი გაკვეული დონით წერა კითხვასა და მათემატიკის ცოდნას მოითხოვს. ასევე ძალიან რთულია ხმების დათვლის პროცესი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული სისტემა პოლიტიკურ პარტიებს შიდა ფრაგმენტაციისკენ უბიძგებს, რადგან ერთი პარტიის წევრები ერთმანეთის კონკურენტებად განიხილებიან.

## §3.4. საარჩევნო ბარიერი

პროპორციული წარმომადგენლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს საარჩევნო ზღურბლი, ანუ საარჩევნო ბარიერი წარმოადგენს. საარჩევნო ბარიერი ნიშნავს პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალურ პროცენტულ რაოდენობას (არჩევნების ან კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობიდან), რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში. [16] პროპორციული არჩევნების პირობებში საარჩევნო ბარიერის განსაზღვრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მთელი რიგი საკითხები, როგორებიცა: მოსახლეობის რაოდენობა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კულტურის დონე, ექსტრემისტული პარტიების არსებობა-არარსებობა და სხვა. საერთაშორისო პრაქტიკაში საარჩევნო ბარიერი 0.67%-დან (ჰოლანდია) 10%-მდე (თურქეთი) მერყეობს.

მაღალი საარჩევნო ბარიერის პირობებში შესაძლებელია პროპორციული წარმომადგენლობის დადებითი მხარეები უარყოფითად იქცეს და იმ პარტიათა მიღებული ხმების ჯამურმა რაოდენობამ, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს, იმაზე მეტი შეადგინოს, ვიდრე პირველ ადგილზე გასული პარტიის ხმების რაოდენობამ. ამდენი ამომრჩევლის არჩევანი

[16] საქართველოს პარლამენტის კანონშმოქმედების უზრ. განყოფილება; http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf 9 გვ.

დაიკარგოს და დარჩენილი მანდატები ბარიერგადალახულ პარტიებზე გადანაწილდეს. განვიხილოთ  თურქეთის მაგალითი: მოსახლეობა 80 000 000-ზე მეტია, აქედან დაახლოებით 65 000 000 ამომრჩეველია. 10%-იანი ბარიერის პირობებში, თეორიულად, 6 000 000 ადამიანის მხარდაჭერილმა პოლიტიკურმა პარტიამ შესაძლებელია, თურქეთის პარლამენტში მანდატები ვერ მოიპოვოს და საკანონმდებლო ორგანოს გარეთ დარჩეს. 3-4 ასეთი პარტიის არსებობისას ამომრჩეველთა მიერ მიცემული ხმების 30-40% იკარგება და მანდატები სხვა პარტიებზე ნაწილდება. ქვეყნები შედარებით მაღალ საარჩევნო ბარიერს მიმართავენ იმ მოტივით, რომ ექსტრემისტულმა ჯგუფებმა ვერ შეძლონ საკანონმდებლო ორგანოში მანდატების მოპოვება. პოლონეთში 1993 წლის საპარლამენტო არჩევნებში შედარებით დაბალი, 5%-იანი საარჩევნო ბარიერი მოქმედებდა, ხოლო კოალიციებისთვის - 8%, მაგრამ პარტიებისა და კოალიციების მიერ დაგროვებული ხმების 34% დაიკარგა და ბარიერგადალახულ პარტიებზე გადანაწილდა.[17]

დემოკრატიულ სახელმწიფოებში საარჩევნო ბარიერი ძირითადად 3-5%-მდე მერყეობს, რაც ხელს უწყობს პატარა პარტიების გაძლიერებას და ასევე, ხელს უშლის ძალიან მცირე ჯგუფების ინტერესების პარლამენტში წარმომადგენლობას. როგორც წესი, საარჩევნო ბარიერი მთელი ქვეყნის მასშტაბითაა ხოლმე დადგენილი, მაგრამ არის გამონაკლისებიც. ესპანეთში 3%-იანი საარჩევნო ბარიერია დადგენილი თითოეულ საარჩევნო ოლქზე.[18]

როგორც მაღალ საარჩევნო ზღურბლს აქვს უარყოფითი მხარეები, ისე დაბალს. ჰოლანდიის საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად დადგენილია ბუნებრივი ბარიერი, რომელიც 0.76%-ს შეადგენს. საქართველოსნაირი პატარა სახელმწიფოსთვის, რომელსაც საგარეო მტრები მოსვენებას არ აძლევენ, საარჩევნო ბარიერის არარსებობამ შესაძლებელია, საკანონმდებლო ორგანოს პარალიზება გამოიწვიოს, რადგან ძალიან გამარტივდება სხვადასხვა პარტიებისთვის მანდატების მოპოვება, მითუმეტეს, ამას თუ დაემატება პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, რითაც ისარგებლებენ მტრულად განწყობილი სახელმწიფოები. ამიტომ ბარიერის განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვანია მთელი რიგი საკითხების გათვალისწინება, ამ ყველაფერთან ერთად გვაქვს შერეული საარჩევნო სისტემის პირობებში 2%-იანი ბარიერის არსებობის პრაქტიკა 1992 წლის არჩევნებისთვის, როდესაც 24-მა პოლიტიკურმა პარტიამა თუ ბლოკმა გადაინაწილა მანდატები და პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ 29 მანდატი მოიპოვა.

## §3.5. გაუნაწილებელი მანდატების გადანაწილება

პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა ბედი ეწევა გაუნაწილებელ მანდატებს და რა სისტემით გადანაწილდება ისინი საარჩევნო ბარიერგადალახულ პარტიებზე.

[17] მარია გრაჩო, ანა კატცი; სადამკვირვებლო ორგანიზაციების პროფესიული განვითარება; 2016 წ. 25 გვ.

[18] ოთარ მელქაზე; საარჩევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციებში; 2015 წ. 69 გვ.

ამ პროცესს მეორად გადანაწილებას უწოდებენ. შეუვსებელი სადეპუტატო მანდატების გადანაწილების ძალიან ბევრი მოდელი არსებობს, მაგრამ ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ყველაზე გავრცელებულ მოდელებზე.

პირველი გახლავთ „ყველაზე მეტი შეუვსებელი სადეპუტატო ადგილის წესი“.

დავუშვათ, საარჩევნო ოლქში დაფიქსირდა სულ 400 000 მიცემული ხმა და გასანაწილებელია 8 მანდატი. საარჩევნო კოეფიციენტი შეადგენს 400 000 : 8 = 50 000 ხმას. პარტიებმა ხმები შემდეგი რაოდენობით მოიპოვეს A -126 000; B -94 000; C – 88 000 D -65 000; E – 27 000.

პირველადი გადანაწილების დროს მანდატები გადანაწილდება კოეფიციენტის მიხედვით. A 126 000 : 50 000 = 2 მანდატი და დარჩენილია 26 000 ხმა; B 94 000 : 50 000 = 1 მანდატი, დარჩენილია 44 000 ხმა; C 88 000 : 50 000 = 1 მანდატი, დარჩენილია 38 000 ხმა; D 65 000 : 50 000 = 1 მანდატი, დარჩენილია 15 000 ხმა, ხოლო E 27 000 : 50 000 = 0 მანდატი და დარჩენილია 27 000 ხმა. დარჩენილია სამი გაუნაწილებელი მანდატი. ყელაზე მეტი შეუვსებელი სადეპუტატო ადგილის წესით თუ გადავანაწილებთ, სია B მიიღებს დარჩენილ მეექვსე მანდატს, სია - C მიიღებს დარჩენილ მეშვიდე მანდატს და სია E მიიღებს დარჩენილ მერვე მანდატს.[19]

მეორადი გადანაწილების შემდეგი სახეა „უდიდესი საშუალოს წესი“.[20] გაუნაწილებელი მანდატების განაწილება ამ შემთხვევაში შედარებით სხვანაირად ხდება: სიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა ამ სიების მიერ პირველადი განაწილებით მიღებული ხმების რაოდენობაზე ერთით მეტ რიცხვზე. მაგ.: A - პარტიას მიღებული ჰქონდა 126 000 ხმა - 126 000 : (2+1) = 42 000 ხმა და ა.შ. ასეთი განაწილებისას მეექვსე, მეშვიდე და მერვე მანდატებს მიიღებენ B, C და A პარტიები ზუსტად ამ თანმიმდევრობით.

ყველაზე მეტი შეუვსებელი სადეპუტატო ადგილის წესი ხელს უწყობს პატარა პარტიებს მანდატების მოპოვებაში. როგორც ჩვენს მაგალითში გამოჩნდა, E პარტიამ 1 მანდატის მოპოვება მაინც შეძლო მეორადი გადანაწილებისას, ხოლო უდიდესი საშუალო წესის გამოყენებისას კი პატარა პარტიები იჩაგრებიან - E პარტიამ საერთოდ ვერ მოიპოვა ვერც ერთი მანდატი.

ასევე გავრცელებულია საშუალო გეომეტრიულის (ჰანტინგტონ-ჰილის) მეთოდი: ხმების მეორადი განაწილებისას ერთმანეთს ადარებენ იმ განაყოფის მთელ ნაწილებს, რომელიც მიიღება პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების მთელი რაოდენობის გაყოფით პირველადი განაწილებით მის მიერ მიღებული მანდატების ოდენობისა და მასზე ერთით მეტი რიცხვის საშუალო გეომეტრიულზე ($\sqrt{n(n+1)}$). ეს მეთოდი შემუშავებულ იქნა ჯოზეფ ჰილისა და ედუარდ ჰანტინგტონის მიერ, 1941 წლიდან გამოიყენება აშშ კონგრესის მანდატების განაწილებისას. მან შეცვალა ვებსტერის (საშუალო არითმეტიკულის) მეთოდი, რომელშიც ხმების მეორადი განაწილებისას

[19] პიერ პაკტე, ფერდინან მელენ-სუკრამანი; კონსტიტუციური სამართალი; 2009 წ. 156 გვ.
[20] მას ჯეფერსონის უდიდესი გამყოფის წესსაც უწოდებენ.

ერთმანეთს ადარებენ იმ განაყოფის მთელ ნაწილებს, რომელიც მიიღება სიის მიერ მიღებული ხმების მთელი რაოდენობის გაყოფით პირველადი განაწილებით მის მიერ მიღებული მანდატების ოდენობისა და მასზე ერთით მეტი რიცხვის საშუალო არითმეტიკულზე, (n+(n+1))/2.[21]

გარდა ზემოთ განხილული სისტემებისა, საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს უამრავი მეთოდი პირველადი განაწილების შემდგომ მორჩენილი ბიულეტენების გასანაწილებლად. საქართველოში დღემდე შერეული საარჩევნო სისტემის პირობებში 77 მანდატი პროპორციული სისტემით ნაწილდება. დარჩენილი მანდატების გადანაწილების წესი ქართული კანონმდებლობით აბსოლუტურად სხვანაირადაა მოწესრიგებული. „პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 77-ზე და გაიყოს საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.“ [22] მაგალითად: ა, ბ და გ პარტიებს შორის ხმები ასე გადანაწილდა: ა - 300 000 ხმა (300 000 X 77) : 1 500 000 = 15 მანდატი; ბ - 700 000 ხმა (700 000 X 77) : 1 500 000 = 35 მანდატი და გ - 500 000 ხმა (500 000 X 77) : 1 500 000 = 25 მანდატი. გაუნაწილებელი დარჩა 2 მანდატი, რომლებიც საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, გადანაწილდება თანმიმდევრობით საუკეთესო შედეგის მქონე პარტიაზე, ხოლო თუ არსებობს ისეთი პარტიაც, რომელმაც 5%-იანი ბარიერი გადალახა, მაგრამ მისი მანდატების რიცხვი 6-ზე ნაკლებია, მას 6-მდე შეევსება ეს რაოდენობა და ეს პროცედურა შემდეგ განხორციელდება.

საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ, საქართველო პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადადის. საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად 150 მანდატი გადანაწილდება პროპორციული სისტემით, რომელზეც ცოტა მოგვიანებით დეტალურად გვექნება საუბარი.

[21] საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი; საარჩევნო სისტემები; 2016 წ. 35 გვ.
[22] საქართველოს საარჩევნო კოდექსი 125-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

# თავი მეოთხე
# შერეული საარჩევნო სისტემა

შერეულ საარჩევნო სისტემებს ძირითადად იმ მარტივი მიზეზის გამო იყენებენ, რომ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემის დადებითი მხარეები უფრო გამოიკვეთოს და უარყოფითი მხარეები შემცირდეს. შერეული სისტემა საკმაოდ ფართოდ გამოიყენება დღევანდელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც. [23] ორი საარჩევნო სისტემის შედარებისას ცნობილმა ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მიშელ როკარმა აღნიშნა: „მაჟორიტარული სისტემა ძალზედ უხეშია, პროპორციული ძალზედ საშიში.[24]

შერეული საარჩევნო სისტემა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან იღებს სათავეს. იგი შეიცავს როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემების ელემენტებს. შერეული საარჩევნო სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ სისტემაშია გაერთიანებული მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემა, ანუ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში მანდატები ნაწილდება როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული არჩევნების შედეგად.

შერეული საარჩევნო სისტემების განხილვისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მათი სიმრავლე, მაგრამ ჩვენ რამოდენიმე ფართოდ გავრცელებული მოდელის განხილვით ვეცდებით წარმოვაჩინოთ აღნიშნული სისტემის დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებები.

## §4.1. კუმულაციური კენჭისყრის მეთოდი

ელექტორატის პრეფერენციის განსაზღვრის ერთ-ერთი მეთოდია კუმულაციური კენჭისყრის მეთოდი, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ხმის გაერთიანების უფლებას ერთი ან სხვადასხვა კანდიდატის სასარგებლოდ. ეს სისტემა, ჩვეულებრივ, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება და ამომრჩეველს ეძლევა იმდენი ხმის უფლება, რამდენი ადგილიცაა გასანაწილებელი. პრეფერენციის გამოხატვა, რიგითობის მინიჭების ნაცვლად, ხდება ხმის მიცემის ჯერადობით. ამომრჩეველს შეუძლია მისთვის სასურველ კანდიდატს ხმა მისცეს ორჯერ, სამჯერ და ა.შ.. ე.ი. მას შეუძლია მოახდინოს ყველა ხმის "აკუმულირება" ერთი პრეტენდენტის სასარგებლოდ, ან სხვადასხვა კანდიდატებს შორის გაანაწილოს შეხედულებისამებრ (თუ მას აქვს 3 ხმა, შეუძლია, ორი მისცეს ერთს კანდიდატს, ერთიც – მეორეს). არჩეულად კი ის კანდიდატები ითვლებიან, რომლებიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებენ. ამ მეთოდის ვარიაციას წარმოადგენს პარტიულ–ბლოკური კენჭისყრა, როცა ამომრჩეველი ხმას აძლევს ერთიან საარჩევნო ბლოკს, რასაც

[23] 2020 წლის არჩევნები შესაძლოა პროპოციული სისტემით ჩატარდეს უმრავლესობბის ლიდერებმა აღნიშნული ცვლილება დაანონსეს.
[24] მალხაზ მაცაბერიძე; არჩევნები და საზოგადოება; 2003 წ. 342 გვ.

შედეგად მოჰყვება მრავალმანდატიან ოლქში გამარჯვებული პარტიის მიერ ყველა მანდატის აღება.[25]

## §4.2. პარალელური კენჭისყრა

პარალელური კენჭისყრის სისტემა შერეული სისტემების ყველაზე მარტივი ფორმაა. ამ სისტემას კლასიკური გაგებით იყენებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის (ბუნდესტაგის) არჩევნებისას. პარალელური კენჭისყრა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს სიმეტრიული და ასიმეტრიული. სიმეტრიული შერეული სისტემის დროს წარმომადგენლობით ორგანოში როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით თანაბარი რაოდენობის დეპუტატების არჩევა ხდება. ბუნდესტაგი სწორედ რომ აღნიშნული სისტემით კომპლექტდება, 496 მანდატიდან 248 აირჩევა მაჟორიტარული წესით, ხოლო მეორე ნახევარი - ასევე 248 დაპუტატი - პროპორციული წესით. ასიმეტრიული საარჩევნო სისტემის ნათელი მაგალითია საქართველოს პარლამენტის ფორმირების დღევანდელი მოდელი. 150 დეპუტატიდან 77-ს ვირჩევთ პროპორციული სისტემით, ხოლო 73-ს - მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიან ოლქებში. ამჟამად ტენდენცია გამოიკვეთა, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატების რაოდენობის ზრდა ხდება პროპორციული წესით არჩეულთა რაოდენობის კლების ხარჯზე.

პარალელური კენჭისყრის პირობებში მაჟორიტარული წესით აირჩევიან ის კანდიდატები, რომლებიც უფრო მეტ ხმას მიიღებენ საარჩევნო ოლქში,[i] ხოლო დანარჩენი მანდატები განაწილდება პროპორციული სისტემით პარტიების მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. მოკლედ რომ ვთქვათ, ამომრჩეველს აქვს ორი ხმა – ერთი პარტიული სიისთვის და მეორე – საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისთვის. საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი, ძირითადად, ფარდობითი უმრავლესობის პრინციპით აირჩევა.[26] პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატებს პარტიის მიერ მიღებული ხმებიდან გამომდინარე ირჩევენ. ეს კანდიდატები მანდატებს იმ რიგითობის მიხედვით მიიღებენ, რომელიც პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნების დაწყებამდე წარადგინა.

---

[25] საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი; საარჩევნო სისტემები; http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf 18 გვ.

[26] მართალია უმეტეს შემთხვევაში ფარდობითი უმრავლესობით ხდება მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა შერეული სისტემების დროს მაგრამ ყურადსაღებია ასევე ის გარემოება თუ მაჟორიტეული სისტემის რომელი ნაირსახეობაა შერეული სისტემის პირობებში ფარდობითი, აბსოლუტური თუ კვალიფიციური უმრავლსეობის მაჟორიტარული სისტემა, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში ამ სისტემებსაც იყენებენ.

## §4.3. კონსენსუსის მეთოდი

ბოლო პერიოდის განმავლობაში ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია იყენებს კონსენსუსის მეთოდს შიდა არჩევნების ჩასატარებლად.[27] ხშირად ამომრჩეველი ხმას ამა თუ იმ კანდიდატს მხოლოდ იმის გამო აძლევს, რომ მისი კონკურენტი საერთოდ მიუღებელია, ანუ არჩევანი უწევს ცუდსა და უარესს შორის და ირჩევს მისთვის „ცუდ კანდიდატს“. ეს პრობლემა საკმაოდ გავრცელებულია დღევანდელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, კონსენსუსის მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: ამომრჩეველს აქვს რამდენიმე ხმის უფლება. მას შეუძლია ხმა მისცეს როგორც დადებით კანდიდატს ასევე უარყოფითს. არჩევნების შედეგები კი შემდეგნაირად გამოითვლება. მაგ.: კანდიდატის მიერ მიღებული დადებითი ხმები აღვნიშნოთ N-ით, ხოლო უარყოფითი ხმები M-ით, არჩევნების დასრულებისას მისი შედეგები ამ ფორმულით გამოითვლება: N+(N-M)=2N-M. ყველაფერი რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი. კანდიდატმა დააგროვა 10 000 დადებითი და 15 000 უარყოფითი ხმა N+(N-M) ამ ფორმულის მიხედვით 10 000+(10 000-15 000)=15 000 ანუ ამ კანდიდატმა მიიღო 15 000 ხმა.

ამ სისტემას, სხვა სისტემების მსგავსად, რა თქმა უნდა, გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშან-თვისებები. ამ სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული მეთოდის ფუნდამენტური იდეა, კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ ამომრჩეველს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ხმა, კანდიდატები ერიდებიან პოპულისტური განცხადებების გაკეთებას, ერთმანეთის არაკორექტულად მოხსენიებას. მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკური სივრცე ბევრად უფრო დაუბინძურებელია და გამომდინარე იქიდან, რომ სიძულვილის ენით ლაპარაკი წამგებიან პოზიციაში აყენებს კანდიდატს, აღნიშნული სისტემის მოქმედების ქვეყნებში ბევრად უფრო ჰუმანური, თავშეკავებული და ღირსეული წინასაარჩევნო კამპანიები ტარდება.[28]

---

[27] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მწვანეთა პარტია და ა.შ.

[28] ზოგიერთი მკვლევარის აზრით კონსესნსუალურ მეთოდს ასევე წარმოადგენს ისეთი სისტემა რომლის დროსაც ამომრჩეველს იმდენი ხმის უფლება აქვს რამდენი კანდიდატიც დგას და მას შეუძლია კანდიდატები პრიორტეტების მიხედვით დაალაგოს, მაგრამ პირადად მე ამ აზრს არ ვეთანხმები რადგან სახელწოდება გვეუბნება რომ კონსენსუსი უნდა მოხდეს ამომრჩევლებს შორის კანდიდატის არჩევის დროს.

# თავი მეხუთე
# არჩევნების ისტორიული განვითარება საქართველოში

სააქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკიდან დღემდე არაერთი არჩევნები ჩატარდა. 1921 წლის კონსტიტუციაში არსებობდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები პროპორციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ საბჭოთა ანექსიის შედეგად კონსტიტუციური ჩანაწერი დავიწყებას მიეცა. საქართველოს კონსტიტუცია იმ პერიოდის დემოკრატიულ შეხედულებებს აბსოლუტურად იზიარებდა და იმ დროისთვის ძალზედ პროგრესულ კონსტიტუციად ითვლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში პროპორციული საარჩევნო სისტემით უნდა მომხდარიყო წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ არჩევანი მაინც შერეულ საარჩევნო სისტემაზე შეჩერდა და სხვადასხვა პროპორციით ნაწილს ვირჩევდით პროპორციული წესით, ნაწილს - მაჟორიტარულით. სწორედ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რამაც მიგვიყვანა საარჩევნო სისტემის შეცვლის პროცესამდე.

## §5.1. საარჩევნო სისტემა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელმაც სულ რაღაც 1028 დღე იარსება, მსოფლიო ისტორიაში გამორჩეული ადგილი დაიკავა. მიუხედავად მაშინდელი არასტაბილური სიტუაციისა, ხელისუფლება ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილების დანერგვას შეეცადა, რაც იმდროინდელი დემოკრატიის მონაპოვრად ითვლებოდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის „სანიმუშო პროექტში“ პარლამენტის არჩევნებს ეთმობა მეოთხე თავის 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლები. 1920 წლის საქათველოს კონტიტუციის პროექტის 52-ე მუხლში ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი, რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.“ [29] აღნიშნული დათქმიდან აშკარაა, რომ პირველი რესპუბლიკის პარლამენტი უნდა არჩეულიყო პროპორციული სისტმით, რაც, რა თქმა უნდა, იმდროინდელი მსოფლიოსთვის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაღალი სტანდარტის მაგალითად ითვლებოდა.[30] ამავე კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაყოფილი იყო საარჩევნო

[29] საქართველოს კონსტუტუციის პროექტი, თბ; 1920 წ. 18 გვ.

[30] ი. ირემაძე ს. ჭანტურიძე; პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დემოკრატიულ საქართველოში, 2017 წ. 14 გვ.

ოლქებად. თითოეულ ოლქს უნდა მიეკუთვნოს განსაზღვრული პროპორციული რიცხვი დეპუტატებისა, მცხოვრებთა რაოდენობის გათვალისწინებით. რაც შეეხება კონსტიტუციის მიღებულ რედაქციას, იგივე დათქმა, რაც „სანიმუშო პროექტის“ 52-ე მუხლში ეწერა, 46-ე მუხლში გადმოიტანეს უცვლელად და რომ არა საბჭოთა კავშირის მხრიდან ოკუპაცია, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პარლამენტის არჩევნები ჩატარდებოდა პროპორციული სიტემით.[31]

კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესში, რა თქმა უნდა, მსჯელობა იყო წარმომადგენლობითი ორგანოს მაჟორიტარული წესით არჩევასთან დაკავშირებითაც, გამოითქვა მოსაზრებები, რომ აღნიშნული მოდელი ხელს შეუწყობდა ხელისუფლების განხორციელებას ადგილობრივ დონეზე, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციის წარმოჩენას ცენტრალურ დონეზე. მაჟორიტარული სისტემის იდეის დადებით თვისებებს დაუპირისპირდა იმდროინდელ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული შიში პროვინციული პატრიოტიზმის გაძლიერებისა. ამ შიშს მით უფრო იმ მწარე წარსულის გამოცდილება აძლიერებდა, რაც ჩვენი სახელმწიფოს აღმოუფხვრელ პრობლემას წარმოადგენდა: სახელმწიფოს შიგნით კუთხეების/სამთავროების დაქსაქსულობა. ამავდროულად, მსოფლიოში ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა გვაქვს, რომ გარეშე მტერი ჩვენს დასუსტებას, ხშირ შემთხვევაში, შიდა დაპირისპირების პროვოცირებით ახდენდა. სწორედ ეს გახდა მთავარი განმაპირობებელი მიზეზი იმისა, თუ რატომ ეთქვა უარი მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას საქართველოს პირველი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.[32]

ახლა ძალიან რთულია იმის თქმა, თუ როგორ იმუშავებდა პროპორციული საარჩევნო სისტემა საბჭოური ოკუპაცია რომ არ მომხდარიყო, რადგან, ფაქტობრივად, პროპორციული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტი არასდროს გვყოლია. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე პარლამენტის არჩევნები ყოველთვის შერეული სისტემით ტარდებოდა, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს საკუთარი ქვეყნის მაგალითი, თუ როგორ მუშაობს პროპორციული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტი.

## §5.2. საარჩევნო სისტემა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ

საბჭოთა კავშირის პერიოდს „ცრუკონსტიტუციონალიზმის“ პერიოდსაც უწოდებენ იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა კონსტიტუციაში თითქმის ყველა უფლება ნათლად და მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ

[31] თაცდაპირველად კონტიტუციის პროექტში პარლამენტის წევრთა რაოდენობა 120 დეპუტატთ განისაზღვრა შემდგომ კი ეს ჩანაწერი კონტიტციის მიღებული რედაქციიდან ამოიღეს იმ მიზეზით, რომ არ იყო მიზანშეწონილი პარლამენტის წევრთა რაოდენობს ხისტად დადგენა.

[32] ვახტანგ გურული, პირველი ქართული პარლამენტი : [საქართველოს ეროვნული საბჭო 1918. ჟურნალი „ერთობა“ N3, 1994. გვ.4-5

პრაქტიკაში მათი განხორციელება არ ხდებოდა. 1978 წლის 15 აპრილის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლში ვკითხულობთ: „სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“. მაგრამ საბჭოთა არჩევნები არ წარმოადგენდა დემოკრატიული არჩევნების სახეს, რადგან არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი - მმართველი პარტია.

საბჭოთა კავშირის დასუსტების პერიოდში, დამფუძნებელი კრების არჩევიდან 70 წლის თავზე საქართველოში შესაძლებელი გახდა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. 1990 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა უზენაესი საბჭოს არჩევნები.[33] არჩევნების ჩატარება შერეული სისტემის პარალელური კენჭისყრის სიმეტრიული მეთოდით გადაწყდა. 14 პოლიტიკური პარტია და პარტიათა ბლოკი იბრძოდა 250 დეპუტატის ადგილის გადასანაწილებლად. ამ პერიოდიდან იწყება საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შერეული სისტემით ჩატარების პრაქტიკა. 250 მანდატიდან 125 ნაწილდებოდა პროპორციული სისტემით, ხოლო 125 - მაჟორიტარული სისტემით. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი არჩევნები  შერეული სისტემის პარალელური კენჭისყრის სიმეტრიული მეთოდით გაიმართა.

ქვეყნის სათავეში ეროვნული მთავრობის მოსვლის შემდგომ, იმ დროისთვის მოქმედ საბჭოთა კონსტიტუციაში მთელი რიგი ცვლილებები გატარდა და შესწორებების შედეგად, 1991 წლისთვის თითქმის ახალი კონსტიტუცია ჩამოყალიბდა. შეიცვალა სახელმწიფო ორგანოები და მასთან ერთად, მათი ფორმირების წესიც. უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა უზენაესი საბჭო, რომელიც შედგებოდა 250 დეპუტატისგან. რაც შეეხება მის არჩევის წესს, იგი ირჩეოდა 5 წლის ვადით, ისევ შერეული საარჩევნო სისტემით. 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა[34] უზენაესი საბჭოს კიდევ ერთი არჩევნები. ახლა უკვე მართალია, ისევ შერეული სისტემით, მაგრამ განსხვავებული მეთოდით. 250 დეპუტატის რაოდენობა 225 დეპუტატამდე შემცირდა. ასევე შეიცვალა თანაფარდობა მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისა. უწინ თუ შერეული სისტემის პარალელურ კენჭისყრას და სიმეტრიულ მეთოდს იყენებდნენ, ახლა უკვე ასიმეტრიულ მეთოდზე გაკეთდა აქცენტი. 75 დეპუტატი აირჩეოდა (ერთმანდატიანი ოლქებიდან), მაჟორიტარული სისტემით 150 კი - პროპორციული სისტემით. საარჩევნო ბარიერმა 2%-მდე დაიწია. პროპორციული არჩევნები არა ერთ ოლქში, არამედ 10 ოლქში ჩატარდა, თითო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა 200 000-დან 250 000-მდე მერყეობდა. ეს არჩევნები ასევე სხვა რამითაც იყო გამორჩეული, იგი ტარდებოდა სამბალიანი სისტემით, ამომრჩეველს ქონდა სამი ხმის უფლება,

---

[33] ი. ბრაჭული; მ. მაცაბერიძე; დ. ჯალაღონია; ნ. დურგლიშვილი;  სახელმწიფო 2007 წ. 109 გვ.

[34] 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა კონსტიტუციის შეცვლამდე მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა პარლამენტის, რომელსაც 3 წლის ვადით თანასწორი, პირდაპირი, ფარული და შერეული სააღცევნო სისტემით ირჩევენ საქართველო მოქალაქეები.

კვოტების დადგენა და ხმების დათვლა კი ხდებოდა ოლქების დონეზე, ხოლო რაც შეეხება გაუნაწილებელ მანდატებს, პრეფერენციის წესით ნაწილდებოდა საერთო ეროვნულ დონეზე.[35]

ბარიერის ასეთმა დაწევამ და პროპორციული სისტემით 150 მანდატის გადანაწილების შესაძლებლობამ საკმაოდ ბევრ პარტიას მისცა პარლამენტში მოხვედრის შესაძლებლობა. 24-მა პოლიტიკურმა პარტიამ და პოლიტიკურმა ბლოკმა შეძლო მანდატების მოპოვება. რა თქმა უნდა, კარგია პარტიული მრავალფეროვნება წამომადგენლობით ორგანოში, მაგრამ ამან შეიძლება წარმოშვას სერიოზული პრობლემები უმრავლესობისა და მთავრობის სიძლიერის კუთხით. აღმასრულებელი ხელისუფლების სიძლიერისთვის აუცილებელია პარლამენტში უმრავლესობის სიმყარის გარანტიებიც, რაც საქართველოს იმდროინედელ პარლამენტში, ფაქტია, ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. 24 სხვადასხვა შეხედულების პოლიტიკური პარტიისა, თუ პოლიტიკური გაერთიანების პირობებში, წარმომადგენლობითი ორგანო ეფექტიანობას კარგავს და კონსენსუსის მიღწევა თითქმის წარმოუდგენელია. უმრავლესობის ან კოალიციური უმრავლესობის სიძლიერე კი სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კომპონენტია, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმომადგენლობითი ორგანო გადაწყვეტილების მიღების პროცესში უუნარო ხდება.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც იმავე წლის 5 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. პროპორციული სისტემით არჩევნები ერთიანი პარტიული სიით ტარდებოდა. პოლიტიკურ პარტიებს და ბლოკებს მაჟორიტარობის კანდიდატად შეეძლოთ ისეთი პირი წარედგინათ, რომელიც პარტიულ სიაშიც ეწერათ. მაჟორიტარული სისტემით არჩეულად ის კანდიდატი ითვლებოდა, რომელიც დააგროვებდა ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეთა არანაკლებ ერთ მესამედს. ანუ მაჟორიტარული სისტემის ეს მოდელი კვალიფიციურ უმრავლესობას გულისხმობს. მართალია, არც თუ ისე მაღალ სტანდარტს აწესებს, მაგრამ მაინც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის კვალიფიციურ მოდელს წარმოადგენს. პირველ ტურში რომელ ოლქშიც ვერ გამოვლინდებოდა გამარჯვებული, 2 კვირის თავზე ინიშნებოდა მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას იღებდა საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი, გამარჯვებული კი მეორე ტურში ვლინდებოდა ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით.

კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შესაბამისად პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა 235 წევრით, აქედან 85 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩეოდა, 150 კი - პროპორციული სისტემით. 85 მაჟორიტარი დეპუტატის ასარჩევად საქართველო დაიყო 85 საარჩევნო ოლქად, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (8 ოლქი), ცხინვალსა და ჯავის რეგიონში (2 ოლქი) არჩევნები ვერ ჩატარდებოდა, წინა პარლამენტში არჩეულ მათ წარმომადგენლებს

[35] მალხაზ მაცაბერიძე; არჩევნები და საზოგადოება; 2003 წ. 383-384გვ.

გაუხანგრძლივეს ვადა და რადგან მათი წარმომადგენელი 14 დეპუტატი იყო, 4 დეპუტატი პროპორციულ სისტემას მოაკლეს და გამოვიდა, რომ არჩევნები იმართებოდა 146 დეპუტატის ასარჩევად პროპორციული სისტემით და 77 დეპუტატის ასარჩევად მაჟორიტარული სისტემით. საარჩევნო ოლქები ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების მიხედვით დაიყო, რაც ვთვლი, რომ არასწორი გადაწყვეტილება გახლდათ, რისი მთავარი არგუმენტიც ამომრჩეველთა რაოდენობის უზარმაზარი სხვაობაა პატარა და დიდ ოლქებს შორის. ქუთაისის საარჩევნო ოლქი 146 000 ამომრჩეველს აერთიანებდა მაშინ, როცა ლენტეხის საარჩევნო ოლქში სულ რაღაც 6 000 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარებისას და ასეთ საარჩევნო ოლქებად დაყოფის პირობებში, ცნება არჩევნების მნიშვნელობა თითქმის მთლიანად უგულებელყოფილია. არჩევნების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია თანასწორობა - რომლის ხელყოფაც ხდება ასეთი არჩევნების ჩატარებით, რადგან 6 000 ამომრჩევლიან საარჩევნო ოლქსაც ერთი მანდატი აქვს პარლამენტში და 146 000 ამორჩევლიან საარჩევნო ოლქსაც. მაჟორიტარული არჩევნების პირობებში ისედაც დაკარგული ამდენი ხმის ფონზე, კიდევ ამხელა სხვაობა საარჩევნო ოლქებს შორის არჩევნების შედეგებს ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. არჩეული დეპუტეტების მანდატი უმრავლეს შემთხვევაში დაბალი ლეგიტიმაციით ხასიათდება.

რაც შეეხება პროპორციული საარჩევნო სისტემით ასარჩევ 146 დეპუტატს, სამი წლით ადრე ჩატარებული წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების მწარე გამოცდილებამ კანონმდებელი აიძულა, რომ ბარიერი 5%-მდე აეწია, რაც ახალ პარლამენტში პოლიტიკური პარტიების რაოდენობას საგრძნობლად შეამცირებდა. ბარიერის 5%-მდე აწევის მართებულობაში ვეთანხმებით კანონმდებელს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობა მოეპოვებინა ამა თუ იმ პარტიას, რადგან იმ პერიოდის განადგურებულ სახელმწიფოს ერთი იდეით გაერთიანებული საზოგადოება ჩასდგომოდა სათავეში. იმ პერიოდში მოქმედება უფრო იყო საჭირო, ვიდრე კონსენსუსის ძიება კოალიციური მმართველობისთვის.

პროპორციულ არჩევნებში გამარჯვებულმა პარტიებმა მანდატები შემდეგი ფორმულის მიხედვით გაინაწილეს A : ( B : 146 ), სადაც A არის პარტიის მიღებული ხმების რაოდენობა, B კი ყველა იმ პარტიის მიღებული ხმების რაოდენობა, რომლებმაც 5%-იანი ბარიერი გადალახეს. სურათი კი საკმაოდ ცუდი მივიღეთ - 5%-იანი ბარიერი 3-მა პარტიამ გადალახა

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი 23.71% 504 586 ხმა (90 მანდატი).
2. ეროვნულ–დემოკრატიული პარტია 7.96% 169 218 ხმა (31 მანდატი).
3. აღორძინების კავშირი 6.84% 145 626 ხმა (25 მანდატი).[36]

გამოვიდა ისე, რომ პროპორციული სისტემით მანდატებ მოპოვებული პარტიების მიღებული ხმები არჩევნებზე მისული ამომრჩევლების დაახლოებით 23%-ს შეადგენდა. რაც ლეგიტიმაციის ხარისხს კიდევ უფრო

[36]http://history.cesko.ge/PDF/1990%20-%20Geo.pdf ცესკო, საქართველოს არჩევნების ისტორია 9.გვ

დაბლა სწევდა, ვიდრე მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების შემთხვევაში. პირველადი გადანაწილებით 89 მანდატის მოპოვება საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა 23%-ის მოპოვებით შეძლო. გადაუნაწილებელი მანდატების განაწილებისას კი თითო-თითო მანდატი დაემატათ როგორც მოქალაქეთა კავშირს, ისე ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას. პარტიები რომლებსაც არჩევნებზე მისული მოქალაქეების 77% არ უჭერდა მხარ, პარლამენტში შევიდნენ და მანდატები გადაინაწილეს. მოქალაქეთა კავშირს კი უმრავლესობის მოსაპოვებლად 10 მანდატი დააკლდა. აღნიშნული შედეგი მხოლოდ საარჩევნო სისტემის ხარვეზით არ იყო განპირობებული. მაშინდელ საქართველოში პოლიტიკური კულტურა საერთო არ არსებობდა, საზოგადოება ხმას კონკრეტულ პიროვნებებს აძლევდა და არა პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიასა და სამოქმედო გეგმას.

მომდევნო საპარლამენტო არჩევნები 1999 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან, რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის გამო არ დანიშნულა არჩევნები, ამიტომ აფხაზეთის დეპუტაციის 12 წევრს უფლებამოსილება გაუგრძელდა.[37] პარლამენტის წევრთა შემადგენლობა, როგორც წინათ, განსაზღვრული იყო 235 წევრით. 150 აირჩეოდა პროპორციული, 85 კი მაჟორიტარული წესით. საარჩევნო სისტემაში ცვლილებები აღნიშნული არჩევნების ჩასატარებლად არ შეუტანიათ და 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებიც ზუსტად იმავე სისტემით ჩატარდა, როგორც 1995 წლის 24 აგვისტოს არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობდა 45 პარტია. პროპორციული სისტემით 7%-იანი ბარიერი გადალახა სამმა პარტიამ:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი 42.07% 894 850 ხმა (85 მანდატი)
2. ბლოკი „საქართველოს აღორძინება'' 25.41% 540 389 ხმა (51 მანდატი)
3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს'' 7.13% 151 685 ხმა (14 მანდატი)

მიუხედავად უცხოელი დამკვირვებლების არაუარყოფითი შეფასებებისა, ეს არჩევნები არ იყო დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების მაგალითი. ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ ვერ შეძლო ჩაეტარებინა დემოკრატიული, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები.[38] ძნელია, დამთხვევას დააბრალო არჩევნების დროს თითქმის ყველა უბანზე საარჩევნო ყუთების გახსნის დროს სინათლის ჩაქრობა. თბილისის რამდენიმე საარჩევნო უბნიდან საარჩევნო ყუთების ცესკო-ში მიტანამდე გაქრობა და მთელი რიგი დარღვევები, რომლებიც დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის შეუძლებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდგომ საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი ნელ-ნელა მატულობდა და პიკს 2003 წლის მორიგი საპარლამენტო

[37] http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/saqartvelos-wina-mowvevis-parlamentebi-1317/saqartvelos-parlamenti-1999-2004-ww-1320

[38] გია ნოდია; როგორი ქვეყანა ვართ ამ არჩევნების შმდეგ; 2000 წ. 7 გვ.

არჩევნების დროს მიაღწია. ეს არჩევნებიც იმ სისტემით ჩატარდა, რომლითაც წინა ორი საპარლამენტო არჩევნები - შერეული საარჩევნო სისტემით. 150 მანდატი პროპორციული სისტემით განაწილდა, 85 - მაჟორიტარულით. საარჩევნო ბარიერიც უცვლელად 7% დარჩა. 1995 წლიდან 2003 წლამდე „პატარა პარტიები“ საპალამენტო ცხოვრების მიღმა დარჩნენ და მათ განვითარების და გაძლიერების არანაირ შანსს არ უტოვებდა მმართველი გუნდი.

2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების შემდგომ დაიწყო ყველასთვის კარგად ცნობილი მოვლენები და ხელისუფლების ცვლილება მოხდა რევოლუციური სცენარით. 2 ნოემბრის არჩევნების შედეგები უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ გაუქმებულად გამოაცხადა. გაუქმებულად გამოცხადდა მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები, მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები კი უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა. 2004 წლის 28 მარტს დაინიშნა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ხელახალი არჩევნები. უმრავლესობაში მოვიდა ახალი ძალა „ნაციონალური მოძრაობა დემოკრატები“, რომელმაც არჩევნებში 66.24%-ის მოპოვება შეძლო.[39] პოსტრევოლუციურ საქართველოში რეფორმების ახალ-ახალი ტალღები მძვინვარებდა, რეფორმების ბუმი თითქმის ყველა სახელმწიფო ინსტიტუციას შეეხო, მათ შორის, გამონაკლისს არ წარმოადგენდა საარჩევნო სისტემაც. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს პარალელურად გაიმართა რეფერენდუმი, რომელზეც დაისვა საკითხი პარლამენტის 235-დეპუტატიანი შემადგენლობის 150-მდე შემცირების შესახებ. ისევე, როგორც მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები, რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილებაც უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა და შემდგომი არჩევნები, რომელიც 2008 წლის მაისში გაიმართა, ახალი წესის მიხედვით ჩატარდა - აირჩა 150 პარლამენტარი. არჩევნებში კვლავ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გასულმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა და მანდატებზე უარი თქვა. არჩევნები ისევ შერეული სისტემით ჩატარადა, მაგრამ არსებითი ცვლილებებით. გარდა იმისა, რომ დეპუტატთა რაოდენობა შემცირდა, შერეული საარჩევნო სისტემის ასიმეტრიული მოდელი შეიცვალა სიმეტრიული მოდელით და როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემით 75-75 დეპუტატის არჩევა მოხდა. გარდა აღნიშნული ცვლილებისა, ასევე შემცირდა საარჩევნო ბარიერიც - 7%-იანი ბარიერი შეიცვალა 5%-იანით, რაც, რა თქმა უნდა, ქვეყანაში მცირე პარტიების გაძლიერებისთვის ხელისშემწყობი ნაბიჯი გახლდათ.[40]

---

[39] „ნაციონალურ მოძრაობა დემოკრატებში“ - ორი პარტია იყო გაერთიანებული ბურჯანაძის-დემოკრატები და ნაციონალური მოძრაობა 7%-იანი ბარიერი გადალახვა ასევე მოახერხა მრეწველების პარტიამ „მრეწველები, ახლები“ ხოლო ყველა სხვა პარტიამ პროპორციულ არჩევნებში ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა.

[40] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო; 1990 წლიდან 2016 წლამდე პოლიტიკური ძალების წარმომდგენლობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში; 2016 წ.

შემდეგი საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემაში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა - პროპორციული საარჩევნო სისტემის სიმეტრიული მოდელი ისევ ასიმეტრიულით შეიცვალა. ეს თითქმის უმნიშვნელო ცვლილება იყო, რადგან 75-75 დეპუტატის ნაცვლად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 77 დეპუტატის პროპორციული სისტემით, ხოლო 73 დეპუტატის მაჟორიტარული სისტემით არჩევა მოხდა. მმართველ პარტიას 2011 წელს სურდა დეპუტატთა რაოდენობის 190-მდე გაზრდა, რაც ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტის შედეგად არ განხორციელდა და დეპუტატთა რაოდენობა ისევ 150 დარჩა. ამით ამოვწურეთ შერეული საარჩევნო სისტემის არსებობის პირობებში განხორციელებული ცვლილებების განხილვა და ახლა უკვე შეგვიძლია, გადავიდეთ აღნიშნული სისტემით ჩატარებული არჩევნების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

## & 5.3. საქართველოში მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემის სხვადასხვა ვარიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით გაწერილი საარჩევნო სისტემა, როგრც მოგეხსენებათ, პროპორციული სისტემის გახლდათ და ამ სისტემით არჩევნების ჩატარება ძალზედ პროგრესული გადაწყვეტილება იყო. რომ არა საბჭოთა ოკუპაცია, დემოკრატიის ისტორიაში ჩვენი სახელმწიფო იმდროინდელი პროგრესული ცვლილებებით, მათ შორის პროგრესული სააარჩევნო სისტემით, თავის სიტყვას იტყოდა და დღეს შესაძლოა ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. საზოგადოებაში იქნებოდა ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურა, მიჩვეულები ვიქნებოდით ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შესაძლებელია, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით დეპუტატების არჩევას ასეთი უარყოფითი შედეგები არ გამოეწვია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საბჭოთა ოკუპაციიდან თავის დაღწევის შემდგომ, 1990-91 წლებში შერეულ საარჩევნო სისტემაზე შეჩერდა არჩევანი, საარჩევნო ბარიერად კი 4 % განისაზღვრა. შერეული სისტემის პირობებში 4 %-იანი ბარიერი საკმაოდ ნორმალურია და პატარა პარტიებს ხელს უწყობ განვითარებისთვის.

1992 წლის არჩევნების დადებით მხარეს წაერმოადგენდა პროპორციული სისტემით გადასანაწილებელი მანდატების გაზრდა მაჟორიტარულის ხარჯზე. ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში პატარა პარტიებს გაუჩნდათ მოხვედრის შანსი, რაც მათი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა. 1992 წელს ჩატარებული არჩევნების უარყოფით მხარედ უნდა მოვიაზროთ 2%-იანი საარჩევნო ბარიერი. ბარიერის დაწევამ მართალია ხელი შეუწყო მცირე პარტიების უფრო აქტიურად ჩართვას პოლიტუკრ პროცესებში, მაგრამ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის საკანნმდებლო ორგანოს, საარჩევნო ბარიერის დაწევით პარლამენტში მოხვდა 24 სხვადასხვა

იდოლოგიისა და განსხვავებული შეხედულებების პარტია. სწორედ ამ განსხვავებული შეხედულებებისა და იდეოლოგიის ბრალია, რომ 1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა ვერ იმუშავა, მეტიც უმრავლესობა ვერ მოიპოვა ვერც ერთმა პარტიამ თუ ბლოკმა. მანდატების გადანაწილების შემდგომ, პირველადგილოსანმა ბლოკმა „მშვიდობა“ 29 მანდატი მოიპოვა 225-დან.[41] 1992 წლის პარლამენტის არჩევნებმა ნათლად დაგვანახა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს საარჩევნო ბარიერს პროპორციული არჩევნების პირობებში. საარჩევნო ბარიერის ძალიან დაწევამ ან საერთოდ გაუქმებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საკანონმდებლო ორგანოს პარალიზება. ამასათან დაკავშირებით ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელისუფალი მიხვდა, რომ საარჩევნო ბარიერის ასეთმა სიმცირემ კარგი არაფერი მოუტანა ჩვენს სახელმწიფოს და გარდა ბარიერის 5%-მდე გაზარდისა, 10 წევრით გაიზარდა პარლამენტში დეპუტატთა რიცხვიც. განსხვავება თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ ბარიერის აწევის შემდგომ პროპორციული სისტემით გასანაწილებელი 150 მანდატიდან (90 მანდატი) მოქალაქეთა კავშირმა, ედპ (31 მანდატი) და აღორძინების კავშირმა ( 25 მანდატი) გადალახეს. 1992 წელს არჩეული პარლამენტისგან განსხვავებით ეს შემადგენლობა როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულად გაცილებით უფრო ქმედითი გახლდათ.

ქართველი ამომრჩეველი ეტაპობრივად ეჩვეოდა შერეულ საარჩევნო სისტემას, მმართველი პოლიტიკური გუნდი კი საარჩევნო ბარიერს სათავისოდ საკმაოდ კარგად იყენებდა ხელისუფლებაში პოზიციების გასამყარებლად.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ წონადი პოლიტიკოსები დაქსაქსულები იყვნენ. ყველა ცალ-ცალკე პარტიით ცდილობდა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას და ამიტომ შედარებით პატარა პარტიების ხმების „მოსაპარად“ საარჩევნო ბარიერი 7%-მდე ასწია. ეს გადაწყვეტილება ძალაუფლების შენარჩუნებისთვის სწორი პოლიტიკური გათვლა იყო, მაგრამ არადემოკრატიული. ამ საარჩევნო ცვლილებების ფონზე ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნების შემდგომ შეძლეს გაერთიანება, 21 დღიანი მწვავე პროტესტის შედეგად რევოლუციური გზით შეძლეს მთავრობის გადაყენება და 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების ნაწილობრივ გაუქმებულად გამოცხადება. საარჩევნო ბარიერი 5%-მდე დაიწია და როგორც იქნა, შენარჩუნდა შემდგომი არჩევნების პირობებშიც.

ყველაზე მნიშვნელოვანი რაც მაჟორიტარული სისტემის მოქმედების პირობებში გამოვლინდა საქართველოში, ეს გახლავთ მმართველი პარტიის მხრიდან მაჟორიტარი დეპუტატების მანდატების აბსოლუტურად უკონკურენტოდ მოგება. საქართველოში, ხშირად, მაჟორიტარულ სისტემას ხელისუფლებისთვის უმრავლესობამდე ან საკონსტიტუციო უმრავლესობამდე შესავსებ ბერკეტსაც უწოდებენ. მმართველი პოლიტიკური პარტიები, ადმინისტრაციული რესურსის დახმარებით, ყოველთვის

[41] ცესკო; საქართველოს არჩევნების ისტორია 1990-2010; 8 გვ.

მარტივად იგებდნენ მაჟორიტარულ არჩევნებში. გარდა ამისა, კანდიდატებად აყენებდნენ ისეთ პირებს, ვისაც მნიშვნელოვანი გავლენები და დიდი ფინანსური რესურსი ჰქონდათ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მმართველი პარტიისთვის გაცილებით მარტივია ასეთი პირის დაყოლიება მაჟორიტარულ არჩევნებში მისი პარტიის სახელით მონაწილეობის მისაღებად ვიდრე ოპოზიციისთვის. ამიტომ გამონაკლისი შემთხვევების გარდა თითქმის ყოველთვის მმართველი პარტია მაჟორიტარული წესით ჩატარებულ არჩევნებს პირწმინდად იგებდა, ხოლო ოპოზიცია, რომელიც პროპორციულ არჩევნებში არც თუ ისე დიდი სხვაობით მარცხდებოდა, მაჟორიტარ კანდიდატად თითქმის ვერცერთი წარმომადგენელი ვერ გაჰყავდა.

5%-იანი ბარიერისა და მაჟორიტარული სისტემის ამგვარი ვარიაციის პირობებში ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით ხელისუფლებისადმი საყოველთაო უნდობლობის გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით 75 საარჩევნო ოლქიდან 71-ში მაჟორიტარი დეპუტატი გაიყვანა "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ". თბილისში, დიდუბისა და ვაკის საარჩევნო ოლქებში გაიმარჯვეს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატებმა, "ახალი მემარჯვენეების" წევრებმა: დავით გამყრელიძემ და დავით საგანელიძემ. ცაგერისა და ყაზბეგის საარჩევნო ოლქებიდან დეპუტატის მანდატი მოიპოვეს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არჩევნებამდე 5 თვით ადრე საქართველოში მრავალათასიანი საპროტესტო ააქციები იმართებოდა და საზოგაოებრივი აზრიც მმართველი პარტიის მიმართ უარყოფითად იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ აღნიშნული საარჩევნო სისტემის პირობებში მათ შეძლეს არამარტო ხელისუფლებაში დარჩენა, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაც.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ხელისუფელბისკენ მიმართული იმ საკმაოდ უარყოფითი მუხტის პირობებშიც კი, ნაციონალურმა მოძრაობამ მაჟორიტარული წესით შეძლო 32 მანდატის მოპოვება და პარლამენტში 65 დეპუტატით შევიდა. ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი ძალა არჩევნებამდე ამომრჩეველს პირდებოდა საარჩევნო რეფორმას, მაჟორიტერული სისტემის სრულ გაქუმებას და შერეული სისტემიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. მიუხედავად ამომრჩევლის დაკვეთისა და ოპოზიციური პარტიების მოთხოვნისა, ხელისუფლებაში ახლად მოსული ძალა ჩავარდა რა მოქმედი საარჩევნო სისტემის ხიბლში, წლიდან-წლამდე ცდილობდა საარჩევნო ცვლილებების გადაწევას. საბოლოო ჯამში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებიც შერეული სისტემით ჩატარადა. აღნიშნული სისტემის წყალობით როგორც უწინ ნაციონალურმა მოძრაობამ, ქართულმა ოცნებამაც მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლსება.

საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში ქვეყნის ყველა პოლიტიკური პარტია და გაერთიანება შეთანხმდა, რომ საქართველოსთვის უმჯობესი იყო მაჟორიტარული სისტემის გაუქმება და მთილიანად

პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. ასეთი სრული კონსენსუსის პირობებში, რამდენად კომიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, მართველმა პარტიამ გადაწყვიტა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ძველი სისტემით ჩაატროს და მხოლოდ 2024 წლისთვის გადავიდეს პროპორციულ სისტემაზე. მათი მთავარი არგუმენტი საზოგადოების მომზადებასა და შეჩვევაზე კეთდებოდა, მაგრამ ყველა კარგად ხვდებოდა, რომ ცვლილებების გადადება გამოწვეული იყო ხელისუფლებაში უმრავლესობით ყოფნის უაღრესად დიდი სურვილით, რომელიც პროპორციული არჩევნების პირობებში თითქმის შეუძლებელი გახდებოდა. შეუძლებელი იქნებოდა, მითუმეტეს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება. ალოგიკურია, მოქმედი საარჩევნო სისტემის კრიტიკა, მაგრამ 2020 წლის არჩევნების მიმდინარე სისტემით ჩატარების მცდელობა. მიუხედავად არგუმენტებისა, ეს შესაძლოა იყოს ვიწრო პარტიული ინტერესის გასატარებლად გამოყენებული, გონივრული პოლიტიკური ხრიკი. მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის პირობებში ბარიერი დაიწევს 3 %-მდე, რაც პატარა პარტიების გაძლიერებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

# თავი მეექვსე
# პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტი

დემოკრატიული ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური გადაწყვეტილება ისეთი საარჩევნო სისტემის არჩევაა, რომელიც მოერგება კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ კულტურას. [42] საქართველოში მაჟორიტარული სისტემის მიმართ ყოველთვის უარყოფითი დამოკიდებულებები არსებობდა. ეს უარყოფითი დამოკიდებულებები კიდევ უფრო გაიზარდა ბოლო რამდენიმე საპარლამენტო არჩევნების პირობებში, რადგან მაჟრიტარული სისტემა ერთგვარი ბონუსი იყო მმართველი პარტიისთვის მანდატების, ხშირ შემთხვევაში, საკონსტიტუციო უმრავლესობამდე გასაზრდელად. საქართველოს მსგავს მცირე მოსახლეობისა და ტერიტორიის მქონე სახელმწიფოში მმართველი პარტიისათვის ძალიან მარტივია გავლენიანი პირების გადაბირება და მაჟორიტარულ არჩევნებზე მმართველი პარტიის სახელითვე კენჭისყრა. ხელისუფლებაში მყოფი პარტიის მხარდამჭერთა პროცენტულ რაოდენობას ემატება კონკრეტული კანდიდატის ელქტორატი და გამარჯვება გარდაუვალი ხდება იშვიათი გამონაკლისების გარდა. სწორედ ამ მანკიერმა პრაქტიკამ მიიყვანა პოლიტიკური ორგანიზაციები იმ დასკვნამდე, რომ საარჩევნო სისტემა უნდა შეცვლილიყო და გადავსულიყავით შერეული სისტემიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. დაიწყო საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მზადება. შეუძლებელია ისეთი იდეალური სისტემის შექმნა, რომელიც რამდენიმე ქვეყანას ერთნაირად მოერგება, საარჩევნო სისტემა თითოეულმა სახელმწიფომ საკუთარ კონტიტუციურ რეალობასა და კულტურას უნდა მოარგოს. [43] ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია შეთანხმდა, რომ მოქმედ საარჩევნო სისტემას ჰქონდა მთელი რიგი ხარვეზები და უმჯობესი იყო გადასულიყვნენ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, მმართველი პარტია მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდა არსებული საარჩევნო სისტემის მანკიერ პრაქტიკას, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას 2024 წლისთვის გეგმავდა. ასევე ვერ მოხერხდა შეთანხმება, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო გადაუნაწილებელი მანდატები. მმართველი გუნდის აზრით, პირველადი გადანაწილების შემდგომ დარჩენილი მანდატები სრულად უნდა მიეღო საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკურ პარტიას. რაც შეეხება საარჩევნო ბარიერს, შეთანხმდნენ, რომ 3%-იანი ზღვარი იარსებებდა, რაც პროპორციული არჩევნებისთვის საკმაოდ გონივრული ზღურბლია, რადგან მცირე პოლიტიკურ პარიტებსაც აძლევს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის საშუალებას და ძალიან მცირე ელექტორატის მქონე ჯგუფებს

[42] Mirela P. Bogdani; Florian Bjanku, Reflections While Choosing an Electoral System - The Case of Albania, 2013, 27

[43] . Tydskrif vir Hedendaagse Romeins-Hollandse Reg (Journal for Contemporary Roman-Dutch Law), 1985, 44

ტოვებს წარმომადგენლობის მიღმა, რათა არ შეფერხდეს უმრავლესობისა და ძლიერი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბება. ამ ქმედებას ამყარებდნენ იმით, რომ მოსახლეობა უნდა შეგუებოდა საარჩევნო სისტემის ცვლილებას, მაგრამ მათ ქმედებებში იკვეთებოდა შიდა დინებები, რომლის მიხედვითაც მმართველ გუნდს უნდოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩვნებში უმრავლესობის მოპოვება მოქმედი საარჩევნო სისტემის მეშვეობით. უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენების და საპროტესტო აქციების შედეგად მმართველმა პარტიამ დაანონსა მორიგი საკონსტიტუციო ცვლილებები. პროტესტის მონაწილეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა 2020 წლის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების თაობაზე, მაგრამ მასთან ერთად დაანონსდა მთელი რიგი საკითხების ცვლილებაც, როგორიც გახლავთ საარჩევნო ბარიერი, რომელიც სრულად გაუქმდება მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ასევე აიკრძალება საარჩევნო ბლოკების შექმნა, ხოლო გადაუნაწლიებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პარტიები.[44]

დაანონსებული საკნოსტიტუციო ცვლილებების შედეგად არჩეული საქართევლოს პალამენტი დაკომპლექტდება პროპროციული საარჩევნო სიტემით მიხედვით. საარჩევნო ბარიერი კანონმდებლობით არ იქნება განსაზღვრული, ანუ პარლამენტში წარმომადგენლობას მოიპოვებს ნებისმიერი პარტია, თუ მოიპოვებს ერთი მანდატისთვის საჭირო „ბუნებრივი ბარიერის“ ხმების რაოდენობას მაინც.

## §6.1. საქართველოს საარჩევნო სიტემის რეფორმის სხვადასხვა შემოთავაზებები

საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული კონსულტაციები დროში საკმაოდ გაიწელა. იყვნენ გარკვეული ჯგუფები რომლებიც პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას არ ემხრობოდნენ და თვლიდნენ, რომ მაჟორიტარულ- რეგიონალური წარმომადგენლობის სისტემით უნდა ირჩეოდეს საქართველოს პარლამენტი, მაგრამ ამ იდეას ძალიან ცოტა მომხრე ჰყავდა და მალევე დავიწყებას მიეცა.[45]

პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა თანხმდებოდა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, მაგრამ ვერ თანხმდებოდა რამდენი უნდა ყოფილიყო საარჩევნო ბარიერი. შედარებით მოზრდილი პარტიები თვლიდნენ, რომ საარჩევნო ბარიერი 3-5 %-მდე უნდა დარჩენილიყო. მცირე ელექტორატის მქონე პარტიები კი თვლიდნენ, რომ ბარიერი რაც შეიძლება დაბალი უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთი არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტია „გირჩი“ კი მოითხოვდა, რომ ბარიერი საერთოდ არ დაწესებულიყო. ამ შემთხვევაში ბუნებრივი ბარიერი 0.67 %-ს შეადგენს.[46] ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა

[44] საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი:“ საქართევლოს კონსიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი.

[45] EMC საქართველოს პარლამენტის არჩევსი წესი. 2016 წ. 26 გვ.

[46] EMC საქართველოს პარლამენტის არჩევსი წესი. 2016 წ. 27 გვ.

გამოიწვია გადაუნაწლებელი მანდატების გადანაწილების საკითხმა, როდესაც მმართველი პარტია გამოვიდა ინიციატივით, რომ გადაუნაწილებელი მანდატები მთლიანად გადაეცათ საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტისთვის. მანდატების მეორადი გადანაწილების ასეთი პრინციპი დემოკრატიის პრინციპებს უხეშად არღვევს და მაჟორიტარული სისტემით გამოწვეულ საარჩევნო წესის ცვლილებების მოტივს მთლიანად უპირისპირდება. პროპორციულ სისტემაზე გადასვლით ამომრჩევლის ნება მაქსიმალურად უნდა ასახულიყო მანდატების გადანაწილების პროცესში, ხოლო მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებული სისტემა კი ამ ყველაფერს თავდაყირა აყენებდა და მმართველ პარტიას ბონუსის სახით საკმაო მანდატების რაოდენობას ანიჭებდა, რაც საერთო სურათს თითქმის არ შეცვლიდა და როგორც მაჟორიტრულის შემთხვევაში, ამ პროცესშიც მივიღებდით ხარვეზს. საპარლამენტო ოპოზიციამ მეორადი გადანაწილების აღნიშნულ სისტემას ალტერნატიული მოდელი დაუპირისპირა რომელიც გულისხმობდა დარჩენილი მანდატების ასევე პროპორციულად გადანაწილებას.

## §6.2. უახლესი საკონსტიტუციო ცვლილებები

უკანასკნელი პერიოდში საზოგადოების აქტიური მოთხოვნის საფუძველზე, მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ შეიმუშავა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებსი შეტანის შესახებ“ “საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი. აღნიშნული პროექტის მიხედვით საქართველოში მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება პროპორციული სისიტემით. პარლამენტის მომდევნო არჩევნების შედეგად პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე (მანდატების რაოდენობაზე) და იყოფა არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიის მიერ მიღებული მანდატები რაოდენობა.[47] მაგ.: არჩევნებზე ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ჯამში მიიღო 1 600 000 ხმა, ცალკე აღებულმა A - პარიტიამ მიიღო 600 000 ხმა. მიღებული მანდატების დასადგენად (600 000 X 150) : 1 600 000 = 56.25 აღნიშნული ფორმულის მიხედვით A - პარტიამ მიიღო 56 მანდატი.

მანდატების განაწილების ეს წესი საკმაოდ ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული, ამის გარდა ნათლად ასახავს ამომრჩეველთა განწყობებს და მაქსიმალურად მიახლოებულია ზუსტ პროპორციასთან.

ამის შემდგომ ჯერი მოდის გაუნაწილებელი მანდატების გადანაწილების პროცედურაზე. თუ ამ ფორმულით განაწილებული

[47] საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი:“ საქართევლოს კონსიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი.

მანდატების ჯამი 150-ზე ნაკლებია, დარჩენილი მანდატები ნაწილდება თანმიმდევრობით უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკურ პარტიებზე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელვანი საკითხი საქართველო კონსტიტუციური კანონის პროექტიში შეეხება საარჩევნო ბარიერიერს. საარჩევნო ზღურბლი მოცემულ პროექტში სრულად უგულვეყოფილია რაც ნიშნავ ბუნებრივი ბარიერის არსებობას. საქართვეოს პარლამენტის მომდევნო არჩევნების შედეგად მანდატს/მანდატებს მიიღებენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მიიღებენ სულ მცირე ერთი მანდატისთვის საჭირო ხმების ოდენობას მაინც. [48] ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი ორადაა გაყოფილი ნაწილი თვლის, რომ ბუნებრივი ბარიერი ძალიან კარგი საშუალებაა პოლიტიკური პლურალიზმისთვის. მცირე პარტიების მხარდამჭერებს მიეცემათ საშუალება საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი წარმომადგენლობის ყოლის. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ნულოვანმა ბარიერმა შეიძლება ხელი შეუშალოს როგორც ძლიერი უმრავლესობის ისე ძლიერი ოპოზიციის შექმნას პარლამენტში. აღნიშნული პროცესი ხელს შეუშლის მთავრობის ფორმირებას და არ არსი გამორიცხული საქმე პოლიტიკურ კრიზისამდეც მივიდეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით ინიცირებულ კონსტიტუციური კანონის პროექტს აქვს საკმაოდ ბევრი უპირატესობა. ფაქტობრივად ყველა ამომრჩეველს ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში, შედეგად „ჰაერში გაფანტული ხმების“ ოდენობა მინიმუმამდე მცირდება. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მათი გამოთვლით ხმების 19.2% დაიკარგა რაც ნიშნავს, რომ დღეს ყოველ მეხუთე ამომრჩეველს წარმომადგენელი არ ჰყავს პარლამენტში. გარად ამისა „საია“ თვლის რომ ამგვარად ფორმირებული პარლამენტი მაქსიმალური სიზუსტით ასახავს ამომრჩევლის განწყობას. ბუნებრივი ბარიერი იძლევა შესაძლებლობას, საკანონმდებლო ორგანომ სარკისებურად, მაქსიმალური სიზუსტით ასახოს ის პოლიტიკური შეხედულებები, რაც საზოგადოებას აქვს.[49]

ბუნებრივი ბარიერის პირობებში ერთი მანდატის მისაღებად საჭირო დაახლოებით 0.67%-იანი ბარიერის გადალახვა იქნება. დაახლოებითი წარმოდგენა რომ შეგვექმნას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე შეგვიძლია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმების პროცენტული გადანაწლიება გამოვიყეოთ და განვსაზღვროთ თუ რომელი პოლიტიკური პარტიები მიიღებდნენ მანდატს/მანდატებს 2016 წლის საპ. არჩევნები პროპორციული სისტემითა და ბუნებრივი ბარიერით რომ ჩატარებულიყო. 2016 წელს არჩევნებში მონაწილეობას 25 პოლიტიკური პარტია/საარჩევნო ბლოკი იღებდა აქედან 0.67%-იანი ბარიერის გადალახვა შეძლო 10-მა მათგანმა მიიღო:

---

[48] საქართველოს კონსტიტუციური საკონის პროექტი:“ საქართევლოს კონსიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი. განმარტებითი ბარათი. 2019 წ. 9 გვ.

[49] იხ. https://gyla.ge/ge/post/saia-mmartveli-partiis-mier-shemotavazebul-saarchevno-sistemas-afasebs#sthash.h05gBEiM.dpbs

1. ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო
2. ეერთიანი ნაციონალური მოძრაობა
3. საქართველოს პატრიოტთა ალიანში
4. ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა
5. პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის
6. უსუფაშვილი - რესპუბლიკელები
7. შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია
8. თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო
9. ეროვნული ფორუმი
10. ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები

ჩამოთვლილი პარტიებიდან თითოეულს ეყოლებოდა წარმომადგენელი პარლამენტში მინიმუმ ერთი მანდატის სახით მაინც. საკმაოდ რთულია წინაწარ იმის თქმა ასეთმა დაბალმა ბარიერმა რა შეიძლება გამოიწვიოს და რა შედეგამდე შეგვიძლია მიგვიყვანოს. ამასთან საქართველოში ასეთი პრაქტიკა არ ყოფილა - მხოლოდ ერთხელ 1992 წელსს შერეული სისტემით ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო ბარიერი 2%-ს შეადგენდა, რა დროსაც მანდატების მოპოვება შეძლო 24-მა პოლიტიკურმა პარტიამ თუ ბლოკმა.

კიდევ ერთი ცვლილება რაც მოყვება ინიცირებული პროექტს ეს გახლავთ პოლიტიკური ბლოკების სახით არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა. განმარტებითი ბარათის მიხედვით აღნიშნული აკრძალვის მიზანია, რომა დაბრკოლება არ შეექმნას პარტიული სისტემის განვითარებას და ინსტიტუციონალიზაციას.[50]

შეჯამებისთვის, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის მიხედვით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარადება პროპორციული სისტემით, ბუნებრივი ბარიერით სადაც საარჩევნო ბლოკებს არ ექნებათ უფლება მონაწილეობის მიღების.

## §6.3. საარჩევნო ბარიერი

საარჩევნო ბარიერი 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად განისაზღვრა 5%-ით. განვითარებულ ქვეყნებში პროპორციული არცევნების პირობებში ბარიერი უმეტესად 3-დან 5%-მდე მეყეობს. 3%-იანი ბარიერის პირობებში მცირე პარტიებს ეძლევათ მეტი შესაძლებლობა პარლამენტში მოსახვედრად და თან უზრუნველყოფილია საკანონმდებლო ორგანოში მცირე ელექტორატის მქონე ექსტრემისტულ ჯგუფების მიერ მანდატების მოპოვების შეუძლებლობა. რადგან ვთვლით, რომ საქართველოში უნდა მოძლიერდნენ მცირე პარტიები უკეთეს იქნებოდა თუ საარჩევნო ზღურბლი 3%-მდე დაიწევდა მაგრამ დაანონსებული ცვლილებების შედეგად 0%-იანი ბარიერის პირობებში შანსი ეძლევა ყველა პოლიტიკურ პარტიას ერთი ან

[50] საქართველოს კონსტიტუციური საკონის პროექტი:“ საქართევლოს კონსიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი. განმარტებითი ბარათი. 2019 წ. 9 გვ.

რამოდენიმე მანდატის მოპოვების. 0%-იანი ბარიერი გვხვდება პორტუგალიასა და ფინეთში . ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ 1992 წლის საპარლამენტო არჩენებთან დაკავშირებით, როდესაც 2%-იანი ბარიერის პირობებში მანდატების მოპოვება შეძლო 24-მა პოლიტიკურმა პარტიამ თუ ბლოკმა და აქედან საუკეთესო შედეგის მქონემ, „ბლოკმა მშვიდობამ“, 29 მანდატი მოიპოვა.

სხვადასხვა ქვეყნის მაგალითით საკანონმდებლო ცვლილებები არაერთხელ გაგვიტარებია და დამეთანხმებით, რომ შესაძლებელია, ესა თუ ის ნორმა იმ ქვეყანაში დადებითად მოქმედებდეს, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის არ იყოს შესაფერისი და პრაქტიკაში არ გაამართლოს. წარსული შეცდომების გათვალისწინებით ვფიქრობ რომ 0%-იანი ბარიერი საქართველოს განვითარებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. ბარიერის გაუქმებამდე უნდა გავითვალისწინოთ თუ რამდენი პოლიტიკური პარტიაა ქვეყანაში, ასევე რა დონეზეა საზოგაოებრივი თვითშეგნება და პოლიტიკური დონე, ამომრჩეველთა რაოდენობა, მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მიერ წარმოებული პროპაგანდის ამომრჩევლებზე გავლენის ხარისხი, შესაძლებელია თუ არა პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევა უმრავლესობის შექმნასთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. ამ გარემოებების გათვალისწინებით ვთვლი, რომ თუნდაც 0.67%-იანი ბუნებრივი ბარიერის პირობებში ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში წარმომადგენლობას მოიპოვებს ძალიიან ბევრი პარტია, რადგან წარსული პრაქტიკის გათვალისწინებით დაახლოებით 12 000 ამომრჩევლის ხმა იქნება საკმარისი ერთი მანდატის მოსაპოვებლად. ამ ყველაფრის გათვალისწინებით და იმით, რომ მმართველი პარტია ზედიზედ მესამედ ემზადება გამარჯვებისთვის, პარლამენტში შეიძლება მივიღოთ პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალიან დიდი აზრთა სხვადასხვაობა და ხელი შეეშლოს ძლიერი უმრავლესობისა და ოპოზიციის ჩამოყალიბებას, რამაც შესაძლოა კონკრეტულ პოლიტიკურ კრიზისამდე მიგვიყვანოს, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე, როგორც დემოკრატიის განვითარების, ასევე ეკონომიკის დასუსტების კუთხით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბუნებრივი ბარიერი იარსებებს მხოლოდ და მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხოლო შემდგომი საპარლამენტო არჩევნები 5%-იანი ბარიერის პირობებში ჩატარდება.[51]

## §6.4. გაუნაწილებელი მანდატები

გაუნაწილებელ მანდატებთან დაკავშირებით, დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია უმრავლესობის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ, რომ გადაუნაწილებელი მანდატების საუკეთესო შედეგის მქონე პარტიას მიეღო. აღნიშნული წესით მორჩენილი მანდატების უმრავლესობითვის გადაცემა

[51] საქართველოს კონსტიტუციური საკონის პროექტი:“ საქართევლოს კონსიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი. განმარტებითი ბარათი. 2019 წ.

თავის მხრივ საფუძველშივე ეწინააღმდეგება იმ მოტივს, რა მოტივითაც უარვი ვთქვით შერეულ საარჩევნო სისტემაზე და გადავედით პროპორციულზე. მთავარი მიზანი იყო ის, რომ საკანონმდებლო ორგანოში მანდატები ამომრჩევლის ნების პროპორციულად გადანაწილებულიყო მაქსიმალურად ზუსტად. ამ შემთხვევაში კი მივიღებდით მორიგ ბონუს სისტემას უმრაველსობაში მოსული პოლიტიკური პარტიისთვის. საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, პირველადი გადანაწილების შემდეგ დარჩენილი მანდატები გადანაწილდება უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკურ პარტიებზე თანმიმდევრობით, რაც, რა თქმა უნდა, მეტად დემოკრატიულია, ვიდრე წინა შემთხვევა. 0%-იანი ბარიერის პირობებში გადაუნაწილებელი მანდატების რიცხვი საკმაოდ მცირე იქნება, მაგრამ 2020 წლის შემდგომ საპარლამენტო არჩევნებისთვის 3%-იანი ბარიერის პირობებში გადაუნაწილებელი მანდატების რიცხვი შესაძლებელია საკამოდ გაიზარდოს.

## §6.5. პროპორციული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დაანონსებული ცვლილებების შედეგად პროპორციული წესით არჩეული პარლამენტი 2020 წლის ოქტომბრიდან უნდა გვყავდეს. პარლამენტის წევრთა 150-ვე მანდატი განაწილდება პროპორციულად მათზე ვინც ერთი მანდატის მოსაპოვებელ ხმათა რაოდენობას მაინც მოაგროვებს. პოლიტიკური ბლოკები არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

სამართლებრივად თუ შევხედავთ, თითქმის ყველაფერი წესრიგშია, არ ასებობს ბარიერი და თითოეულ პარტიას შეუძლია მიიღოს პროპორციულად იმდენი მანდატი რამდენ ხმასაც მიიღებს. ამომრჩეველთა ნება არ იკარგება, რადგან საარჩევნო ბარიერი 2020 წლის არჩევნებისთვის არ გვაქვს. გადაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და მორჩენილი მანდატებიც თანმიმდევრობით გადანაწილდება უკეთესი შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტებზე. თუ გადავხედავთ უკანასკნელი წლების განმავლობაში არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის რაოდენობას, 1 800 000 ამომრჩევლის მისვლის პირობებში 12 000 ხმა საკმარისი იქნება თითოეული პარტიისთვის ერთი მანდატის მოსაპოვებლად. ვფიქრობ, რომ 2020 წელს არჩეულ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მანდატების მოპოვებას შეძლებს ძალიან ბევრი აქამდე ნაცნობი თუ შედარებით უცნობი პარტია, 2020-დან 2024 წლამდე გვეყოლება საკმაოდ მრავალფეროვანი პარლამენტის შემადგენლობა, რამაც შესაძლოა გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს და ჩემს ადმოკიდებულებას აღნიშნულთან დაკავშირებით ქვემოთ მოგახსენებთ.

შემდეგი არჩევნები 2024 წელს ჩატარდება, რომლის დროსაც საარჩევნო ბარიერი აღდგენილი იქნება და 5%-მდე აიწევს. ბლოკების საკითხი სავარაუდოდ უცვლელი დარჩება და პოლიტიკურ სუბიექტებს ამ სახით არჩევნებში მონაწილეობა ისევ აეკრძალებათ.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროპორციულ არჩევნებზე გადასვლით, ხელისუფლებაში მყოფ პარტიას წაერთვა ბერკეტი დამატებითი მანდატების მოპოვებისა და ნებისმიერი პარტია მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად მოიპოვებს მანდატებს. ეს გადანაწილება მაქსიმალური სიზუსტით მოხდება და ამომრჩეველთა ნება ნათლად აისახება საკანონმდებლო ორგანოში მანდატების სახით.

# დასკვნა

პირველ რიგში უნდა შევთანხმდეთ, რომ საარჩევნო სისტემის გამართულობა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. ის უნდა იყოს ადვილად აღქმადი როგორც ამომრჩევლისთვის, ისე პოლიტიკოსისთვის და უნდა ერგებოდეს იმ პოლიტიკურ კონიუნქტურას, რომელშიც სახელმწიფო ცხოვრობს, რათა არ მიგვიყვანოს გაუაზრებელ შედეგებამდე და სისტემის მიმართ უნდობლობამდე.

ზემოთ განხილული გვქონდა თითქმის ყველას საარჩევნო სისტემა თავისი სხვადასხვა ვარიაციებით. შეჯამებისთვის შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ მათი უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.

მაჟორიტარული სისტემის უპირატესობებია:

- ამომრჩევლისთვის გასაგებად გაცილებით უფრო მარტივია.
- მაჟრიტარული სისტემა ხელს უწყობს კავშირს ამომრჩეველსა და მის წარმომადგენელს შორის.
- ამომრჩეველს საშუალებას აძლევს არჩევანი გააკეთოს არა მარტო პარტიებს შორის, არამედ ინდივიდუალურ ადამიანებს შორისაც.
- დამოუკიდებელი და პოპულარიული კანდიდატის არჩევის შესაძლებლობას იძლევა.
- გაცილებით მცირეა იმის ალბათობა, რომ საკანონმდებლო ორგანო პოლიტიკურად „ჭრელი“ აღმოჩნდეს.

რაც უარყოფით მხარეებს:

- პირველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი „დაკარგული ხმების“ რაოდენობაა, ხმები რომლებიც გამარჯვებულის საწინააღმდეგოდ იქნა მიცემული და რომელთა საერთო რაოდენობა შესაძლოა გამარჯვებულის მიერ მიღებულ ხმებს აღემატებოდეს.
- ამომრჩეველთა რაოდენობით „მეორე პარტიამ“ შესაძლებელია მანდატების მოპოვება საერთოდ ვერ შეძლოს ან მცირედი რაოდენობა მოიპოვოს.
- ასევე შესაძლებელია მხარდამჭერთა რაოდენბოთ პირველმა პოლიტიკურმა პარტიამ მეორე პარტიაზე ნაკლები მანდატი მოიპოვოს თუ მისი მხარდამჭერები კონცენტრირებულნი არიან რამოდენიმე მსხვილ საარჩევნო ოლქში
- მაღალია ალბათობა გაიმარჯვოს უბრალოდ პოპულარულმა კანდიდატმა რომლის პოლიტიკურ დოონეზე საუბარიც კი შეიძლება ზედმეტი იყოს.
- და ბოლო ყველაზე მთავარი, უმრავლესობს შეიძლება მოიპოვოს აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილმა პოლიტიკურმა პარტიამ რაც მნიშვნელოვნადაა წინააღმდეგობაში არჩევენბის იდეასთან.

პროპორციული საარჩევნო სისტემის უპირატესობები:

- უზრუნველყოფს მიღებული ხმების ზუსტად გარდაქმნას მიღებულ მანდატებად და თავიდან იცილებს უსამართლო შედეგებს რომელსაც მაჯორიტარული სისტემა წარმოქმნის.
- მინიმუმამდეა დაყვანილი ე.წ. „ბონუს მანდატების შესაძლებლობა დიდი პარტიებისთვის.
- ხელს უწყობს პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერებას და პატარა პარტიებს საშუალებას აძლევს გაძლიერება, განვითარების.
- რაც უფრო დაბალია ბარიერია მით უფრო მცირეა ე.წ. „დაკარგული ხმების“ რაოდენბოა.
- პოლიტიკურ პარტიას აქვს შესაძლებლობა საარჩევნო სიის ისეთი ფორმირების რომლის შედეგადაც საკანონმდებლო ორგანოში შეიყვანოს პროფესიონალი მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობი პიროვნება.
- რაც ყველაზე მთავარია, უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი მართავს და ამასთან უმცირესობის მხარდაჭერილი პარტიებიც წარმოდგენილნი არიან საკანონმდებლო ორგანოში.

ნაკლოვანი მხარეები:

- ამომრჩევლსითვის რთულია პარტულ სიაში გარკვევა და გადაწყვეტილებას ირებს პარტიის პოლიტიკური იდეოლოგიით და ლიდერების მიმართ თავის დამოკიდებულების შესაბამისად.
- კოალიციური მთავრობის შექმნა, რომელიც იწვევს საკანონმდებლო ჩაკეტილოაბას და თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნის შეუძლებლობას.
- ექსტრემისტულ პარტიებს მეტ შესაძლებლობას აძლევს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად.
- ქვეყანაში „პოლიტიკური სიჭრელის“ შედეგად წარმომადგენლობითი ორგანოც „პოლიტიკურად აჭრელდება“ რაც როგორც წესი პოლიტიკურ არასტაბილურობას იწვევს, მაგრამ ბოლო ორი ნაკლოვანების თავიდან აცილება საარჩევნო ზღურბლის საშუალებითაა შესაძლებელი.

ჩვენი ქვეყნისთვის, ამ მოცემულობის პირობებში, ყველაზე კარგი სისტემა პარლამენტის არჩევნებისთვის გახლავთ პროპორციული საარჩევნო სისტემა. მაჟორიტარულმა სისტემამ დაგვანახა, თუ როგორ მარტივად შეუძლია მმართველ პარტიას, მოიპოვოს ამომრჩევლის ნებაზე გაცილებით მეტი მანდატი. მაჟორიტარული სისტემა ჩვენი პოლიტიკური კულტურისა და სხვადასხვა მახასიათებელი ნიშან-თვისების მქონე ქვეყნისთვის შესაძლებელია სამომავლოდ ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი იყოს, მაგრამ არა დღევანდელი მოცემულობის პირობებში. მართალია ჩამოვყალბდით, რომ დღევანდელი საქართველოსთვის საუკეთესო საარჩევნო სისტემა პროპორციულია, მაგრამ პროპორციულ საარჩევნო სისტემას აქვს სხვადასხვა შემადგენელი ელემენტი, რომლებმაც შესაძლოა მის ძირითად აზრში ძირფესვიანი ცვალებადობა გამოიწვიოს. შესაძლებელია, სამართლებრივად

არავითარი კითხვა არ ჩნდებოდეს, მაგრამ პლიტიკური კუთხით ძალიან დიდი დატვირთვის მატარაებელი იყოს თუნდაც ბარიერის არ არსებობა, ბლოკების მონაწილეობის აკრძალვა და ა.შ.

პირველ რიგში ეს ეხება ბარიერის არ არსებობას 2020 წლის არჩევნებისთვის. შედარებით პატარა პარტიებს რომლებსაც არ ქონდათ შანსი 5 ან 3%-იანი ბარიერის გადალახვისა, მიეცათ შესაძლებლობა მანდატის ან მანდატების მოპოვების. საუბარი და განხილვები დაიწყო პოლიტიკური ბლოკების აკრძალავასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვევს ოპოზიციურად განწყობილი პარტიების დაქსაქსვას. შედარებით მცირე პარტიების აზრით, მთავარია მალე მოხდეს შეთანხმების მიღწევა უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და 2020 წლის არჩევნები ჩატარდეს ბუნებრივი ბარიერის პირობებში პროპორციული სისტემით, ხოლო საპარლამენტო ოპოზიცია კი თვლის, რომ ბლოკების აკრძალვა არასწორია და ეს ცვლილება მათი დაშლისკენაა მიმართული. ასე რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისკენ მიმართული საკონსტიტუციო ცვლილებები შესაძლებელია საფუძვველი გახდეს ოპოზიციური პარტიებს შორის განხეთქილებისა, რაც ხელს შეუშლის ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებას ქვეყანაში. ძლიერი ოპოზიციის გარეშე კი თითქმის შეუძლებელია ძლიერი უმრავლესობის არსებობა.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბარიერის არ არსებობის ფაქტი. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს თუ გადავავლებთ თვალს, მივხვდებით, რა უარყოფითი შედეგი მოიწია 2%-იანმა საარჩევნო ბარიერმა: 24-მა პოლიტიკურმა პარტიამ მოიპოვა საკანონმდებლო ორგანოს მანდატი. მანკიერი პრაქტიკის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ 2020 წელსაც საკმაოდ ბევრი პოლიტიკური პარტია მოიპოვებს მანდატს. ბუნებრივმა ბარიერმა, თავის მხრივ, შეიძლება, ხელი შეუშალოს როგორც ძლიერი უმრავლესობის ფორმირებას, ასევე ძლიერი ოპოზიციის ფორმირებასაც, რამაც საბოლოოდ შეიძლება პოლიტიკურ კრიზისამდეც კი მიგვიყვანოს. ამასთან ერთად, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ საქართველოში რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებსაც. უკვე დიდი ხანია რუსული პროპაგანდა საკმაოდ კარგად მუშაობს საქართველოს მოსახლეობაზე და შესაძლებელია მტრულად განწყობილი ქვეყნის სატელიტი პარტიები მარტივად მოხვდნენ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, რაც საკმაოდ დიდ ზიანს მოგვაყენებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშირისო ასპარეზზე. ისეთი სიტუაციის პირობებში კი, როგორიც საქართველოს აქვს, პოლიტიკური კრიზისით შესაძლებელია ისარგებლოს მტრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა და ეს სიტუაცია სათავისოდ გამოიყენონ. პირადად მე ვთვლი, რომ საქართველო ჯერ მზად არ არის ბუნებრივი ბარიერისთვის და ჩემი აზრით ეს ჩვენი ქვეყნისთვის მთელ რიგ პრობლემებს გამოიწვევს.

რაც შეეხება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს, ბარიერი ამ დროისთვის 5%-მდე აიწევს. საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში თავდაპირველად არჩევანი 3%-იან ბარიერზე შეჩერდა, რაც მნიშვნელოვანწილად დადებითად იმოქმედებდა პოლიტუკირ

პლურალიზმზე. 3%-იანი ბარიერი აბსოლუტურად გონივრული იქნება, პატარა პარტიებსაც მიეცემათ მანდატების მოპოვების საშუალება და განსაკუთრებით პატარა პარტიები, რომლებიც შესძლებელია მარგინალურ ძალებად მოიაზრებოდნენ, ვერ მოახერხებენ მანდატების მარტივად მოპოვებას. განმარტებითი ბარათის თანახმად, საარჩევო ბარიერის მიზანი დემოკრატიული სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი გარანტიის შექმნაა. ვენეციის კომისიისთვის, ცალკე აღებული 5-პროცენტიანი ბარიერი კრიტიკის საგანი არ არის: ასეთი ბარიერები მრავალი ევროპული სახელმწიფოსთვისაა ცნობილი. მცირე პარტიების პარლამენტში არ დაშვებით, საარჩევნო სისტემები მიზნად ისახავენ დანაწევრების თავიდან აცილებას, რაც პოლიტიკურ სისტემას უფრო სტაბილურს ხდის და სამთავრობო უმრავლესობის ფორმირებას აადვილებს.[52]

რაც შეეხება გადაუნაწილებელ მანდატებს, მათი გადანაწილების მეთოდიც საკმაოდ კარგად არის გაწერილი და არ ითვალისწინებს რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის ბონუსის სახით მანდატების გადაცემას.[53]

რაც არ უნდა ვთქვათ, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ქართული სახელმწიფოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაპოვარია დემოკრატიულობის გზაზე. ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, ნაწილობრივ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემიდან სრულ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის საბჭოს, ასევე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და პარტიების უმეტესობის დიდი ხნის მოთხოვნასთან და მისასალმებელია.[54] ნელ-ნელა გაიზრდება პოლიტიკური კულტურის დონეც და შევძლებთ, განვითარებადი სახელმწიფოების ჩამონათვლიდან განვითარებულ სახელმწიფოთა ჩამონათვალში გადასვლას, ამ გზაზე კი პროპორციული საარჩევნო სისტემა უდიდეს წვლილს შეიტანს.

[52] ვენეციის კომისია. მოსაზრება კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე, 20017წ. 9 გვ.
[53] საქართველოს კონსტიტუცია (23.03.2018. №2071) 37-ე მუხლის მე-6 პუნქტი.
[54] ვენეციის კომისია. მოსაზრება კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე, 20017წ. 9 გვ.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ოთარ მელქაძე, საარცევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციებში, 2015 წ.
2. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი 2011 წ.
3. მარია გრაჩო, ანა კატცი; სადამკვირვებლო ორგანიზაციების პროფესიული განვითარება; 2016 წ.
4. საქართველოს პარლამენტის გვებ-გვერდი http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf საარჩევნო სისტემები.
5. პიერ პაკტე, ფერდინან მელენ-სუკრამანი; კონსტიტუციური სამარტალი; 2009 წ.
6. საქართველოს საარჩევნო კოდექსი.
7. მალხაზ მაცაბერიძე; არჩევნები და საზოგადოება; 2003 წ. 342 გვ.
8. საქართველოს კონსტუტუციის პროექტი, „სანიმუშო პროექტი“ თბ; 1920 წ.
9. ი. ირემაზე ს. ჭანტურიძე; პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დემოკრატიულ საქართველოში, 2017 წ.
10. ვახტანგ გურული, პირველი ქართული პარლამენტი : საქართველოს ეროვნული საბჭო 1918. ჟურნალი „ერთობა“ N3, 1994 წ.
11. ი. ბრაჭული; მ. მაცაბერიძე; დ. ჯალაღონია; ნ. დურგლიშვილი; სახელმწიფო 2007 წ.
12. ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნების ისტორია, http://history.cesko.ge/PDF/1990%20-%20Geo.pdf
13. მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებული საარჩევნო სისტემის შეფასება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.
14. https://gyla.ge/ge/post/saia-mmartveli-partiis-mier-shemotavazebul-saarchevno-sistemas-afasebs#sthash.h05gBEiM.dpbs
15. გია ნოდია; როგორი ქვეყანა ვართ ამ არჩევნების შმდეგ; 2000 წ.
16. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო; 1990 წლიდან 2016 წლამდე პოლიტიკური ძალების წარმომდგენლობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში; 2016 წ.
17. EMC საქართველოს პარლამენტის არჩევსი წესი. 2016 წ.
18. პაატა ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. 2004 წ.
19. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტტუცია 20 წლის შემდეგ. 2016 წ.
20. ა.ლაპანაძე, საზღვარგარეთის სოციალური ქვეყნეების სახ. სამართალი 1964 წ.
21. საქართველოს კონტიტუცია 1995 წ.
22. ვენეციის კომისია. მოსაზრება კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე, 20017წ.
23. John R. Low-Beer, The Constitutional Imperative of Proportional Representation 1984.
24. Mirela P. Bogdani; Florian Bjanku, Reflections While Choosing an Electoral System - The Case of Albania, 2013.
25. Mirela P. Bogdani; Florian Bjanku, Reflections While Choosing an Electoral System - The Case of Albania, 2013.
26. Tydskrif vir Hedendaagse Romeins-Hollandse Reg (Journal for Contemporary Roman-Dutch Law), 1985.